პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

☐ ხუთშაბათი 31 აგვისტო, 1978 წ. ☐ № 204 (17248) ☐ ფასი 2 კაპ.

1920
გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან
1978

ხვალ—სკოლისაკენ!



გ. ლომიძის პლაკატი.

მთელი ჩვენი ცოდნა და გარჯა —კომუნიზმს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, პედაგოგებს, აღმზრდელებს, დამრიგებლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მშობლებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად ულოცავენ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, პედაგოგებს, აღმზრდელებს, დამრიგებლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, მშობლებს ახალი 1978-1979 სასწავლო წლის დაწყებას.

წლევანდელი სასწავლო წელი პირველია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, კომუნიზმის მშენებელთა დიადი ქარტიის მიღების, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების კონსტიტუციების მიღების შემდეგ. ეს მეათე ხუთწლედის, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის, ჩვენი დიადი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური აღმავლობის, მისი თავდაცვითი ძლიერებისა და საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცების ხუთწლედის მეორე ნახევრის პირველი სასწავლო წელია.

საქართველოს მშრომელებზე, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხზე კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარების წყალობით მეათე ხუთწლედის პირველმა ნახევარმა, რომელიც რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის მიზანსწრაფული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობით აღინიშნა. შესანიშნავი წარმატებანი მოიტანა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, რესპუბლიკის ეკონომიკის, მისი სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს შემდგომ აღმავლობაში. მეათე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში ჩვენმა რესპუბლიკამ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია მუშაობაში და ზედიზედ მეხუთედ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მაღალი შეფასება, რომელიც საქართველოს სსრ მშრომელების, მისი პარტიული ორგანიზაციის შრომის შედეგებს მისცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, პოლიტბიურომ და მისმა მეთაურმა — გამოჩენილმა ლენინელმა, ყველა ადამიანის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძენმა და თანამიმდევრულმა მებრძოლმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, მოგვიწოდებს უფრო მეტად გავისარჯოთ, მივაღწიოთ ახალ დიდ წარმატებებს, თავდადებით ვიშრომოთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების შესასრულებლად.

მეათე ხუთწლედის განვლილი პერიოდი არსებითი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებით აღინიშნა სახალხო განათლების დარგშიც. რესპუბლიკაში ძირითადად დამთავრდა გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე, გაფართოვდა და განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ და ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზა. აღზრდისა და სწავლების პროცესი უფრო მჭიდროდ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, ცხოვრებას, იმ აქტუალურ ამოცანებს, რომლებსაც რესპუბლიკის კომუნისტები და მშრომელები წყვეტენ. შესამჩნევად გაუმჯობესდა ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლება. ამაღლდა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ინტერნაციონალური, სამხედრო-პატრიოტული და შრომითი აღზრდის, მათი ჰარმონიული განვითარების დონე, უფრო მტკიცე და საფუძვლიანი გახდა ცოდნა, რომელსაც ახალგაზრდობა იძენს. ქალიშვილები და ჭაბუკები ეუფლებიან მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებს, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერებას — მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. სამშენებლო მოედნებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველმინდვრებში ახალგაზრდობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო-სახალხო დოვლათის შექმნაში. მეათე ხუთწლედის დამდეგიდან საზაფხულო შრომითს სემესტრებსა და მეოთხედებში მონაწილეობა მიიღეს 650 ათასზე მეტმა სტუდენტმა და უფროსკლასელმა, ტექნიკუმებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა, რომლებმაც 145 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოიმუშავეს.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული დიდებული პერსპექტივები, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელიც სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს ანიჭებს განათლების უფლებას, რომელსაც უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება და ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, შრომის უფლება, მოწოდებისა და საზოგადოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით პროფესიის არჩევის უფლება ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მოუწოდებს უფრო კარგად ისწავლონ, უფრო მუყაითად და გულმოდგინედ დაეუფლონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ბუნებისმეტყველების, ტექნიკის საფუძვლებს. იმისათვის, რომ კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები იყოთ, უკვე ახლა, ძვირფასი დროის დაუკარგავად, მტკიცედ და საიმედოდ უნდა შეისწავლოთ დისციპლინები. მხოლოდ ეს მოგცემთ საშუალებას თქვენ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებს, გადალახოთ სიძნელეები შრომითი ცხოვრების დაწყებისას, სწორად იპოვოთ თქვენი ადგილი ცხოვრებასა და საზოგადოებაში, მეტი სარგებლობა მოუტანოთ მას.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, წარმოების მომავალმა მეთაურებმა, დიდი და პატარა კოლექტივების ხელმძღვანელებმა და ორგანიზატორებმა უფრო გულმოდგინედ უნდა შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებანი. აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, საწარმოო პრაქტიკის დროს დაეუფლონ თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მართვის მეცნიერების ყველა დეტალს, შეისწავლონ კოლექტივებში ადამიანთა ურთიერთობის მეცნიერული საფუძვლები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განიმტკიცონ ორგანიზატორული მუშაობის ჩვევები, შეიმუშაონ მყარი ცხოვრებისეული პოზიცია, პარტიის პოლიტიკის თანამიმდევრული გამტარებლის მებრძოლური თვისებები, პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, გამოიმუშაონ გამჭრიახობა და შეუცნობელის შეცნობის მისწრაფება, შემოქმედებითად გადაწყვიტონ საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებსაც ცხოვრება უსახავს ჩვენს საზოგადოებას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს — იმისათვის, რომ იყო დიადი სოციალისტური ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, ნამდვილი პროფესიონალი სპეციალისტი, მტკიცე მარქსისტ-ლენინელი, პატრიოტი, ინტერნაციონალისტი, უსაზღვროდ გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი, იყო სამშობლოს ერთგული და მამაცი დამცველი, კომუნისტური იდეალებისათვის აქტიური მებრძოლი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების განმხორციელებელი, დასაბუთებულად ილაშქრებდე გახრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის, რევიზიონისტთა ყოველგვარი ანტისაბჭოური თავდასხმების წინააღმდეგ. ღრმად უნდა სწავლობდე, ეუფლებოდე და მტკიცე მრწამსად მიგაჩნდეს ცხოველმყოფელი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დებულებანი, ყოველდღიურად ეცნობოდე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ XXV ყრილობის მასალებს, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას, საქართველოს სსრ კონსტიტუციას, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი გმირობის ისტორიას, კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებს და, უწინარეს ყოვლისა, მის შესანიშნავ, ღრმა ჰუმანიზმითა და ადამიანურობით, ადამიანზე, მშრომელი ადამიანების მშვიდობიან ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ზრუნვით გამსჭვალულ ნაწარმოებებს „მცირე მიწასა“ და „აღორძინებას“. მუდამ უნდა გახსოვდეთ და ასრულებდეთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, ოქტომბრის რევოლუციისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძს, რომლის სახე, რომლის საქმეები, რომლის ცხოვრება, ბოლომდე ხალხს რომ შეალია, გზის მანათობელი ვარსკვლავი უნდა იყოს თითოეული გოგონას და ბიჭუნას, ქალიშვილისა და ჭაბუკის ცხოვრებაში.

წლევანდელი სასწავლო წელი დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს ყველა სასწავლებლის მასწავლებლებს და განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებს. სკოლა, რომელსაც ყველა ახალგაზრდა თაობა გადის, უნდა ასწავლიდეს ყველას და თანაც ასწავლიდეს კარგად. ახლა, როცა საშუალო განათლება საყოველთაო და სავალდებულო გახდა, განსაკუთრებით მაღლდება მასწავლებლის როლი მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდაში, ქალიშვილებისა და ჭაბუკების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მტკიცე იდეური მრწამსის, მაღალი ზნეობისა და შრომისმოყვარეობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფორმირებაში, კომუნისტური ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდაში, მიძღვნილი საქმისათვის, ფრიადზე სწავლისათვის, მაღალი მოქალაქეობისა და შეგნებული დისციპლინისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვაში. ამზადებდე ახალგაზრდობას ჩვენი მიღწევების საფუძვლის — აქტიური შრომისათვის, უნერგავდე მოსწავლეებს შრომის სიყვარულს, მშრომელი კაცის ღრმა პატივისცემას, ასწავლიდე ცოდნის დამოუკიდებელ გამდიდრებას, ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირებას, ეხმარებოდე, რომ სწორად განსაზღვრონ თავისი ადგილი ცხოვრებაში, საზოგადოებაში, შეგნებულად აირჩიონ პროფესია — რა შეიძლება იყოს პედაგოგის ამაზე უფრო პასუხსაგები მოვალეობა!

ახალგაზრდობის ნამდვილი მასწავლებელი და აღმზრდელი, მისი დამრიგებელი რომ გახდე, თვითონ უნდა იყო დიდად განათლებული პროფესიონალი, საფუძვლიანად იცოდე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ყოველდღიურ მუშაობაში კიდევ უფრო უნდა ამაღლებდე თითოეული გაკვეთილის, თითოეული ლექციის, თითოეული ლაბორატორიული თუ სემინარული მეცადინეობის ეფექტიანობასა და ხარისხს, იმაღლებდე ინტელექტუალურ და პროფესიულ დონეს, იფართოებდე სულიერ სამყაროს, უჩვენებდე მაღალი მოქალაქეობის, პარტიულობისა და ზნეობის, საკუთარი თავისადმი აღსაზრდელებისა და მათი მშობლებისადმი მომთხოვნელობის მაგალითს, კომუნისტური მორალის ნორმებისაგან უმცირეს გადახვევასაც კი ვერ ურიგდებოდე. მასწავლებელს ყოველთვის და ყველგან უნდა ახსოვდეს, რომ იგი სამაგალითო და მისაბაძია თავისი მოსწავლეებისათვის, რომ იგი თავის თავს თავის მოსწავლეებში განაგრძობს.

ახალი სასწავლო წელი ჩვენს ქვეყანაში მარტო რესპუბლიკის სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში კი არ დგება, არამედ ყოველ სახლსა და ყოველ ოჯახშიც. ბავშვის, ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყალიბების რთულ პროცესში დიდია მშობლის, შრომასა და ცხოვრებაში მათი პირადი მაგალითის, თითოეული ოჯახის მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს როლი. მშობლები პედაგოგებისა და დამრიგებლების აქტიური თანაშემწეები უნდა გახდნენ, რადგან მხოლოდ ოჯახისა და სკოლის მჭიდრო თანამეგობრობისა და თანამშრომლობის შედეგად შეიძლება გადაწყდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის, მოქალაქეობრივი სიმწიფისა და მაღალი კომუნისტური ზნეობის ადამიანის ფორმირება. კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ და გავაფართოოთ სკოლებისადმი, სხვა სასწავლებლებისადმი შრომითი კოლექტივების შეფობა, შევქმნათ სკოლათშორისი სასწავლო-საწარმოო კომბინატები, მოსწავლეთა ბრიგადები, უბნები.

რესპუბლიკის სასწავლებლების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები თავიანთი კოლექტივების მებრძოლი ავანგარდი უნდა გახდნენ იმისათვის ბრძოლაში, რომ თითოეულმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა მიიღოს ღრმა, მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა, უზიაროს კომუნისტური მომავლის მშენებლობის გზაზე საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებს.

დაუცხრომელმა ზრუნვამ და ყურადღებამ, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი იჩენენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საჭიროებებისადმი, ჩვენში ხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური პირობები შეუქმნა იმ ამოცანების წარმატებით შესრულებას, რომლებიც რესპუბლიკას დაუსახეს სკკპ XXV ყრილობამ, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრისა და 1978 წლის ივლისის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI და XII პლენუმების მიერ დასახული ამოცანების ნაყოფიერ გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ. საქმე თქვენზეა, ჩვენო ძვირფასო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

დაე ახალმა სასწავლო წელმა, მეათე ხუთწლედის დამკვრელური შრომის წელმა, წარმატება მოგიტანოთ, დაე ეს წელი შემოქმედებითი შრომითა და სწავლით აღსავსე იყოს თქვენთვის, კიდევ მეტად გაგამდიდროთ სულიერად, გამოგაწრთოთ მორალურად. დაე იგი იყოს თქვენს წამოწყებებსა და ძიებაში შემდგომი შემართების წელი. გისურვებთ, რომ ჩვენი კომუნისტური მომავლის ნათელი იდეალების, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმის ერთგულნი გაზრდილიყავით და დავაჟკაცებულიყავით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფსაბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

„სოიუზ—31“:

დედამიწის ფოტოგრაფირება

ფრენის მართვის ცენტრი, 30 აგვისტო. (საქდესი). მეოთხე დღეა „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი, რომელშიც შედიან ვლადიმერ კოვალიონოკი, ალექსანდრე ივანჩენკოვი, ვალერი ბიკოვსკი და ზიგმუნდ იენი.

ეკიპაჟის დღევანდელი სამუშაო დროის დიდი ნაწილი დათმობილი ჰქონდა გარემოს შესწავლისა და ბუნებრივი რესურსების კვლევის პროგრამით გათვალისწინებულ ექსპერიმენტებს.

კოსმონავტები ბიკოვსკი და იენი აკვირდებიან და სურათებს უღებენ დედამიწის ზედაპირსა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიას. ფოტოგადაღება მიმდინარეობს მკფ-6მ მრავალზონალური აპარატურის მეშვეობით, რომელიც ერთად შეიმუშავეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტებმა.

კომპლექსში იწყობა ექსპერიმენტი „პოლარიზაცია“, რომლის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ განისაზღვროს ლანდშაფტისა და ატმოსფეროს მდგომარეობის გავლენა სამეცნიერო აპარატურის დამიზნების სიზუსტეზე.

დღეს დაგეგმილია აგრეთვე სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ შემუშავებული ერთობლივი ექსპერიმენტები, ფიზიკური ვარჯიში, ტელერეპორტაჟი.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების თანახმად, „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ — „სოიუზ-31“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები კოვალიონოკი, ივანჩენკოვი, ბიკოვსკი და იენი თავს კარგად გრძნობენ.

მიფრინავს „კოსმოს-1029“

1978 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1029“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქდესი).

512.000 ტონა ყურძნისათვის!

ახმეტელები სიტყვას არ გატეხენ

● იქნება 33 ათასი ტონა ყურძენი — საზოგადოებრივი მეურნეობებიდან — 28.000 ტონა, საკარმიდამოდან — 5.000 ტონა

ბოლო ორი ხუთწლედის მანძილზე ახმეტაში მევენახეობამ თავისი მოცულობით სოფლის მეურნეობის ყველა დარგს გაუსწრო და ახლა იგი მემცენარეობიდან და მეცხოველეობიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის ნახევარზე მეტს იძლევა. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს რაიონის მშრომელთა ინტერესსა და სიყვარულს მევენახეობისადმი.

ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს თავდადებული და დაძაბული შრომა, რომელსაც ჩვენი მეზვრეები მთელი წლის მანძილზე მოსავლის გადარჩენისათვის ეწევიან.

რაიონის მევენახეთა შრომა-გარჯამ მაღალი შეფასება დაიმსახურა ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერებაზეც. ახლა კი, როცა რთველი კარზეა მომდგარი, რაიონის ყველა მეურნეობის მეზვრეები და ინდივიდუალური ჩამბარებლები გაბედულად აცხადებენ, რომ სიტყვას არ გატეხენ, **სახელმწიფოს უთუოდ მიჰყიდიან ვალდებულებით ნაკისრ 31 ათას ტონა ყურძენს. მოსავალს იხეთი კარგი პირი უჩანს, რომ ჩვენს მევენახეებს ვალდებულების გადამეტებით კიდევ 2 ათასამდე ტონა ყურძნის დამზადებაც არ გაუჭირდებათ.**

ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოს 4.300 ტონა ყურძენს მიჰყიდის, მატნის საბჭოთა მეურნეობა — 4.200 ტონას, ქისტაურის საბჭოთა მეურნეობა — 4.000 ტონას, ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობა — 3.500 ტონას, ოჟიოსა და პანკისის საბჭოთა მეურნეობები — 3.000-3.000 ტონას, მაღრაანის საბჭოთა მეურნეობა — 1.600 ტონას.

მართალია, რთვლამდე ოც დღეზე მეტია დარჩენილი და ამ დროში ბევრი რამის მოგვარება შეიძლება, მაგრამ რთველისათვის თადარიგი ჩვენ კარგა ხანია დავიწყეთ. ამ პასუხსაგები კამპანიის ორგანიზებულად მოწყობისათვის ყველა მეურნეობაში შედგენილია გეგმა-გრაფიკები, რომლებშიც გათვალისწინებულია მუშახელის, ტარის, ჭურჭლის, ტრანსპორტის, ტექნიკის და სხვა საშუალებების რაციონალური გამოყენების საკითხები.

ამ დღეებში პარტიის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილეს რთვლისათვის მზადების საკითხი. მიღებული ზომების შედეგად გამოვლენილი ბევრი ნაკლოვანება უკვე გამოსწორებულია. მეურნეობები ახლა ძირითადად ყურძნის გადასაზიდი ძარებით, ავტომანქანებით, „თე-0,5“ მარკის ბუნკერებით, საბურავებით უზრუნველყოფას საჭიროებენ. ამის შესახებ ჩვენ უკვე დავაყენეთ საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე, და, იმედია, დროულად დააკმაყოფილებენ ჩვენს თხოვნას.

რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა, სპეციალისტები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს მევენახეებს, რომ მათ სიტყვა არ გატეხონ, სახელმწიფო მარანში მიიტანონ 33 ათასი ტონა ყურძენი.

ვ. ბატიაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი.

ვადაზე ექვსი დღით ადრე

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა 25 აგვისტოს მეორე ცვლაში ვადაზე ექვსი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების რვა თვის სახელმწიფო დავალება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე მეტად თავი ისახელეს იმ საექსპლოატაციო უბნებმა, რომელთაც გამოცდილი სამთოელები ჯ. გვენეტაძე, უ. კუბლაშვილი და დ. მაღლაფერიძე უდგანან სათავეში. სამივე უბანი წლის დასაწყისიდან უჩამორჩენლად მუშაობს.

შახტის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა აგვისტოში დამატებით ამოიღოს 6 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის მეჭარხლეთა და შაქრის მრეწველობის მუშაკთა შრომითი თანამშრომლობის საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მუშაკები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წერილს უკრაინის სსრ ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეობისა და შაქრის ქარხნის მუშაკებისადმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომლებშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების წინ გამოჩენილ მათს ინიციატივას, რომ შრომითი თანამშრომლობის საფუძველზე წელს ყოველ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 50 ცენტნერი თეთრი შაქარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ იამპოლელთა შესანიშნავ ინიციატივას დიდი საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს, რადგან ახალ ეტაპს სახავს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამმუშავებელი დარგების მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, შაქრის წარმოების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის დამატებითი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, და მეჭარხლეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საქართველოს შაქრის კომბინატის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაკების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია შეიმუშაონ და განახორციელონ ჭარხლის აღების, დამზადების, დაცვა-შენახვისა და გადამუშავების ერთიანი კომპლექსური გეგმა ადგილობრივი პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით, დადონ ურთიერთხელშეკრულებანი მეჭარხლეობის მეურნეობებს, შაქრის კომბინატსა და სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის შრომითი მეტოქეობის შესახებ, ფართოდ გაავრცელონ ვინიცის ოლქის იამპოლის რაიონის მეჭარხლეთა და შაქრის მრეწველობის მუშაკთა შრომითი თანამშრომლობის გამოცდილება, კიდევ უფრო განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება 1978 წლის შაქრის ჭარხლის დამზადებისა და შაქრის გამომუშავების გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, ქარელის, ხაშურის, კასპის რაიონების პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მეჭარხლეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საქართველოს შაქრის კომბინატის გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ მიმდინარე წელს მთლიანად რესპუბლიკაში დაამზადონ 135 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი — წინათ ნაკისრ ვალდებულებაზე 5 ათასი ტონით მეტი, მიაღწიონ პლანტაციათა ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 38 ცენტნერამდე თეთრი შაქრის ჭარხლის გამოსავლიანობას, მისი წარმოება გაზარდონ 14 ათას ტონამდე.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტს, ხაშურის, ქარელის, გორისა და კასპის რაიკომებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, დამზადების, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს დაევალათ:

უზრუნველყონ მეჭარხლეობისათვის განკუთვნილი მანქანების ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება, მიაღწიონ ჭარხლის ასაღები მანქანების, დამტვირთველებისა და სატრანსპორტო საშუალებების უფრო დიდ მწარმოებლობას, მოაწყონ ჭარხლის აღების ნაკადური და ნაკადურ-გადასაცლელი წესების ფართო გამოყენება, აგრეთვე ამ ხერხებით აღებული ჭარხლის მიღება შაქრის კომბინატის ყველა ჭარხლის მიმღები პუნქტის მიერ.

შეიმუშაონ და განახორციელონ თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე საქართველოს შაქრის კომბინატში შაქრის ჭარხლის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების, მისი დაცვა-შენახვის ამაღლების, გადამუშავების დროს დანაკარგების შემცირებისა და შაქრის გამოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მეჭარხლეობის ყველა რაიონმა დროულად აიღოს შაქრის ჭარხალი და ამუშავდეს საქართველოს შაქრის კომბინატი.

საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად დაევალა შეიმუშაოს რესპუბლიკის მეჭარხლეთა და შაქრის მრეწველობის მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების დამატებითი ღონისძიებანი.

• • •

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, მეჭარხლეობის მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები, საქართველოს შაქრის კომბინატის მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, გაზარდონ მეათე ხუთწლედის მესამე წელს შაქრის ჭარხლის წარმოება, შესყიდვა და შაქრის გამომუშავება. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება

ვეხმაურებით წერილს —

„შენ კომუნისტი ხარ..."

წერილები პირველადი პარტიული ორგანიზაციებიდან

მხოლოდ აქტიური პოზიცია!

ვაგრძელებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე წამოწყებულ საუბარს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს კომუნისტი ჩვენს დროში, როგორ უნდა იღვწოდეს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

„შენ კომუნისტი ხარ" — ამ რუბრიკით „კომუნისტის" მიმდინარე წლის 26 მაისის და 10 ივნისის ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებს დღეს ეხმაურება „საქკაბელის" ზესტაფონის ქარხნის ბრიგადირი ვ. კელენჯერიძე.

გაზეთმა „პრავდამ" ამ დღეებში მეთაური წერილით გაუწყა პარტიულ ორგანიზაციებში მოახლოებული ანგარიშგება-არჩევნების შესახებ. ამ სახელმძღვანელო სტატიაში ხაზგასმით არის ნათქვამი თითოეული კომუნისტის მებრძოლურობაზე, მომთხოვნელობის ამაღლებაზე.

დიახ, პარტიის სიძლიერე და მებრძოლურობა სწორედ მისი ჯარისკაცების, თითოეული კომუნისტის სიმტკიცეზე, შემართებაზე, მოვალეობის და პასუხისმგებლობის სწორ შეგნებაზეა დამოკიდებული.

გადაჭარბებულად ნუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ზესტაფონელი მეკაბელე კომუნისტები ერთგულნი არიან პარტიის საწესდებო მოთხოვნებისა და ეს თვით საწარმოს განვითარების დინამიკასაც ეტყობა. ჩვენი ქარხანა არსებობის ორ ათეულ წელს ითვლის და ამ პერიოდში ისე განმტკიცდა, რომ მნიშვნელოვნად გადააჭარბა საპროექტო სიმძლავრეს. იმასაც თამამად ვამბობ, რომ ახლა ბევრ საწარმოს არ შეუძლია ჩვენთან გათანაბრება სამარკო ღირსებით — მთელი წარმოებული პროდუქციის 72,5 პროცენტი ხარისხის სახელმწიფო ნიშნით იდამღება მომხმარებელს. მაღალია რენტაბელობის დონეც.

ამ წარმატებათა სული და გული ქარხნის ასკაციანი პარტიული ორგანიზაციაა, რომლის 78 წევრი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში იღვწის. 17 წელია ამ სახელოვანი კოლექტივის წევრი ვარ, აქ მივიღე მუშური ნათლობაც და კომუნისტური წრთობაც. ახლა ბუხტების გადამხვევ შვიდკაციან ბრიგადას ვხელმძღვანელობ და ყოველთვიურ დავალებას 130-140 პროცენტით ვასრულებთ. ბრიგადის წევრთა გასააქტიურებლად მხარში მიდგას კომუნისტი ომარ აბჟანდაძე. იგი ქარხნის მთელი კოლექტივისათვის მაგალითის მიმცემი მუშა, სანიმუშო როგორც პარტიული დავალებების შემსრულებელიც.

პირადი მაჩვენებლებით დაკმაყოფილება კომუნისტის ღირსებად არ მიმაჩნია. მთავარია ის, თუ როგორ იბრძვის წარმოების კულტურის, პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ტექნოლოგიური პროცესების დაცვისა და შრომის ორგანიზაციის განმტკიცებისათვის. პასუხისმგებლობას მიორკეცებს ის, რომ არჩეული ვარ საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის წევრად.

ამას წინათ ქარხნის ერთ-ერთ უბანზე დანადგარი შეფერხებით მუშაობდა, დაზიანების გამო აუარესებდა პროდუქციის ხარისხს. ამ ფაქტს ზეინკალი გ. არაბიძე მშვიდად უყურებდა და დრო საუბარში გაჰყავდა. გულმა არ მომითმინა და რამდენიმე შენიშვნა მივეცი ზეინკალს, პირველად თითქოს შეცბუნდა, მაგრამ როცა ვუთხარი, ამ საკითხს პარტიული ორგანიზაციის ბიუროში დავაყენებ-მეთქი, უსიტყვოდ გაბრუნდა და დანადგარი შეაკეთა. ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა საამქროებში და ახლა ყოველ კომუნისტს მოვალედ, ანგარიშვალდებულად მიაჩნია თავი პასუხი მოსთხოვოს გვერდით მომუშავე ამხანაგსაც.

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენი ქარხნის პროდუქცია განთქმულია თავისი ხარისხით, მაგრამ მისი შეფუთვა და მარკირება ყოველთვის როდი ხდება სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით. რომისაც მზა პროდუქციის საწყობში ასეთი ფაქტები შევამჩნიე, საკითხი საამქროს ხელმძღვანელობის წინაშე დავაყენე. ქარხნის ხელმძღვანელობამ და პარტიულმა ბიურომაც დამიჭირეს მხარი, რასაც შედეგად მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვა. ახლა ჩვენი ქარხნის პროდუქციის შეფუთვა, მარკირება არათურით არ ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტებს.

ზოგჯერ საკუთარ თავში ეჭვიც კი მეპარება — ხომ არ ვაჭარბებ? სწორედ ასეთი კითხვა დამებადა, როცა გამახსენდა, რომ ამას წინათ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გააკრიტიკეს ჩვენი ქარხანა შარშანდელ დონესთან შედარებით შრომის ნაყოფიერების შემცირებისათვის. ეს ფაქტი მაშინვე არ გახდა საქმიანი მსჯელობის საკითხი და, ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, რომ პარტბიუროს მდივნის რ. მაღლაკელიძისათვის შემეხსენებინა. საქმე ადგილიდან დაიძრა. 17 აგვისტოს ამ საკითხზე იმსჯელა პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომამ. შრომის ნაყოფიერების გადიდების ყველა რეზერვის გამოსავლენად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი მეც ვარ. გათვალისწინებულია თვის ბოლოს ამ საკითხს მიეძღვნას ღია პარტიული კრება...

დამეთანხმებით, რომ მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენთან ამ მხრივ ყველაფერი რიგზე როდია. არ დავმალავ, ხშირია მუშახელის დენადობა. არც შრომის დისციპლინაა მტკიცე, წელს უმიზეზოდ გაცდა 132 კაცდღე. არ გვყოფნის კვალიფიციური კადრები, ამიტომ აგრონომები და პედაგოგები მუშაობენ ინჟინრების თანამდებობებზე, ბუნებრივია, ეს უარყოფითს გავლენას ახდენს საქმეზე.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია აქტიურად გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმს, ახლა უფრო მეტს ვაკეთებთ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში თითოეული კომუნისტის წვლილის გასადიდებლად. თავისუფალ დროს საშეფო დახმარებას ვუწევთ ქვედა საზანის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობას. აქ შევასრულეთ 3,2 ჰექტარი ვენახის სამუშაოები, მეცხოველეობის ფერმას ელექტროგაყვანილობა დავუმონტაჟეთ ჩვენივე მასალით, დავუმზადეთ 8 ტონა სასენაჟე მწვანე მასა, გავასუქეთ და სახელმწიფოს მივყიდეთ ორი ტონა ღორის ხორცი. ვითვალისწინებთ, რომ წლის ბოლომდე კიდევ უფრო მეტი თავი და ხორცი ვაწარმოოთ მეკაბელეებმა. აქ, რა თქმა უნდა, საქმის სული და გული ჩვენი კომუნისტები იქნებიან.

მაგრამ სათქმელი ბოლომდე უნდა ვთქვა. ყველა კომუნისტი როდი მოდიყვება მწყობრი ნაბიჯით. ჩვენს ასკაციან პარტიულ ორგანიზაციაში, სამწუხაროდ, ისეთებიც არიან, რომლებიც პარტიულ კრებებსაც კი არ ესწრებიან. აი ზოგიერთი მათგანიც: რ. ბარბაქაძე, გ. თურაზაშვილი, ს. ლევიძე... ამ ამხანაგების მხრივ სხვა რამ აქტიურობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

არანაკლებ გვაწუხებს ზოგიერთი კომუნისტის საერთო პასიურობა. თუნდაც ა. ქათამაძის და ნ. ჯიქიძის შესახებ ვთქვათ. ისინი საწევროსაც იხდიან და კრებებსაც ესწრებიან, მაგრამ დღემდე იმაც ვერ გავიგეთ, მოსწონთ თუ არა ჩვენი მუშაობა, ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ წარმოების, პარტიული ორგანიზაციის მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

კომუნისტი შრომაში მოწინავე, გულწრფელი, ობიექტური და პრინციპული უნდა იყოს. სწორედ მაშინ შეასრულებს მასების ორგანიზატორის როლს, ამას მოითხოვს ჩვენგან სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ვლ. კელენჯერიძე,
„საქკაბელის" ზესტაფონის ქარხნის ბრიგადირი, სკკპ წევრი.

სიმწიფის გამოცდა

საანგარიშო-საარჩევნო კრებები კომკავშირულ ორგანიზაციებში

□

საქართველოს კომკავშირის ცხოვრებაში საპასუხისმგებლო ხანა დგება: სექტემბერ-ნოემბერში საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, პროფტექნიკური სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციებში მოეწყობა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. თავიანთ კომკავშირულ ორგანიზაციებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს ჩააბარებენ დაახლოებით 13 ათასი ჯგუფკომორგი, საამქროების, ბრიგადების, ფაკულტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების უფლებათა მქონე სხვა ორგანიზაციების 19 ათასი ბიურო და მდივანი, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების შვიდი ათას ხუთასი კომიტეტი.

— წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის თავისებურება ის არის, რომ იგი ეწყობა მეათე ხუთწლედის მესამე წლის დამთავრების წინ, იმ პერიოდში, როცა კომკავშირული ორგანიზაციები ემზადებიან ღირსეულად შეხვდნენ ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების პირველ წლისთავს — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. ორჯონიკიძემ. — გარდა ამისა ეს პირველი ანგარიშგება-არჩევნებია სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის, რესპუბლიკის კომკავშირის XXXI ყრილობის შემდეგ, რაც განსაზღვრავს კიდეც მომავალი კრებების მთავარ მიმართულებას.

ანგარიშგება-არჩევნების დროს ღრმად და ყოველმხრივ განიხილავენ ყოველი კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში, ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახულ ამოცანათა, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობისა და საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. უნდა განისაზღვროს და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი ახალგაზრდებს შორის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის, ქალიშვილებისა და ჭაბუკების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, კომუნისტური რწმენის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე საქმიანად, მაღალი მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის პოზიციიდან გააანალიზებენ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის უმნიშვნელოვანესი განაწესების პრაქტიკული განხორციელებისათვის.

კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ქმედითობის შეფასების მთავარი კრიტერიუმები იქნება იმ მოთხოვნების შესრულება, რომლებიც ითვალისწინებენ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის [illegible] უზრუნველყოფას სკკპ XXV ყრილობისა და რესპუბლიკის კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომკავშირული ორგანიზაციების როლს პარტიის აგრარული პოლიტიკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან, „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ" ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან გამომდინარე ამოცანების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ანგარიშგება-არჩევნები კომკავშირული ორგანოების საბრძოლო [illegible]. ამ უმნიშვნელოვანი კამპანიის წარმატება მის საგულდაგულო მომზადებაზეა დამოკიდებული. წინასწარ უნდა იყოს მოფიქრებული ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიც არის სრულიად საკავშირო ალკკ წევრთა აღრიცხვაში სათანადო წესრიგის ოპერატიული დამყარება. კომკავშირის ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტში შემუშავებულია საანგარიშო-საარჩევნო კრებების მოწყობის კონკრეტული გეგმები.

წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია უნდა მოეწყოს მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე. ხელი შეუწყოს კომკავშირული ორგანიზაციების შემდგომ განმტკიცებას, მათი ავტორიტეტისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, დარაზმოს კომკავშირელები, ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი სკკპ XXV ყრილობის, სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის. (საქინფორმი).

წალენჯიხის რაიონის მიქავას სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. აქ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის კრეფა და კარგი შედეგებიც აქვთ.

სურათზე — მოწინავე მეჩაიე მიმოზა კვარაცხელია, რომელმაც დღეისათვის 6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

ბ. გოგოხიას ფოტო.

ქაიფერა ხილის დიდი რეზერვია!

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის მეხილეებს დიდი ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი. მათ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 390.000 ტონა ხილი, აქედან 74.990 ტონა კურკოვანი, ხოლო 315.010 ტონა — თესლოვანი.

სულ კი რესპუბლიკაში 28 აგვისტოსათვის დამზადდა 52.130 ტონა ხილი. შარშან ამ დროისათვის დამზადებული იყო 85.777 ტონა.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა საგანგაშოა. ახლა საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ ახალი რეზერვებისათვის, იმისათვის, რომ არ დაიკარგოს არცერთი კილოგრამი ხილი.

მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ, კერძოდ, საკარმიდამო ნაკვეთებიდან ხილის დამზადების ორგანიზაციას, ამ საქმეში რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებას. ამ მხრივ მისაბაძია მახარაძელ და ლანჩხუთელ მეხილეთა თაოსნობა, რომლებმაც გამონახეს რეზერვები დაამზადონ ათიათასობით ტონა ქაიფერა მსხალი. ამ ინიციატივას სხვა რაიონებმაც უნდა აუბან მხარი, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ხილის დამზადების გეგმა-დავალების შესრულებისათვის ყველა რეზერვი.

მახარაძის რაიონი: იქნება 17.340 ტონა მსხალი!

მახარაძის რაიონში ჩაისთან ერთად ხილსაც საკმაო რაოდენობით ამზადებენ. აქ განსაკუთრებით ქაიფერას ჯიშის მსხალია შემოსავლიანი. ქაიფერა მსხალი ბევრს ისხამს და თანაც გემრიელია. გაზაფხულზე, როცა ყვავილობა იყო ბევრი ხეხილის ბაღი დაზიანდა, ქაიფერა მსხლის ჯიშის ხეებმა კი, ეტყობა, კარგად იყვავილეს და ახლა ნაყოფით დახუნძლული ხეები თვალსა და გულს ახარებს. მახარაძის რაიონის ბევრი სოფლის ბაღები დავათვალიერეთ.

როგორც ცნობილია, ქაიფერას მსხალი ერთბაშად მწიფდება და ისიც დიდი რაოდენობით. საყურადღებოა ისიც, რომ ნაყოფი მალე ფუჭდება. შეიძლება ძლიერმა ქარებმა ჩამოპერტყოს კიდეც და დალპეს. კარგად მოიქცნენ პარტიის მახარაძის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომის და სოფლის მეურნეობის სამმართველო, რომ ადრე მიიღეს ზომები თესლოვანი ხილის უდანაკარგოდ კრეფა-გადამუშავებისათვის.

რაიონში სოციალისტური შეჯიბრების ნაცადმა კომპლექსურმა მეთოდმა ამჯერადაც კარგი ნაყოფი გამოიღო. თესლოვანი ხილის ჩამბარებლები, მისი გამტანი სატრანსპორტო ორგანიზაციები და გადამამუშავებელი პავილიონები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომ ქაიფერა მსხლის მიღება-გადამუშავების კამპანია დაამთავრონ შემჭიდროებულ ვადებში — არა უგვიანეს 25 დღისა. რაიონის ყველა სასოფლო საბჭოს მიხედვით შედგენილია გეგმები, განსაზღვრულია მსხლის ჩაბარების ვადები.

რაიონის მეხილეებს გადაწყვეტილი აქვთ სახელმწიფოს მიჰყიდონ 17.340 ტონა საუკეთესო ხარისხის ქაიფერა მსხალი, აქედან რესპუბლიკის სამრეწველო ორგანიზაციებს გაუგზავნონ 9.300 ტონა. დიდი რაოდენობით მსხალს მიაწვდიან კასპის, სიონის, ცხინვალის ხილკენკროვანი ღვინის ქარხნებს, ქუთაისის აგროსამრეწველო გაერთიანებას, მახარაძის საკონსერვო ქარხანას.

დიდი ამოცანები აკისრიათ ხილის მიმღები პავილიონების მუშაკებს. მათ დროულად უნდა უზრუნველყონ მსხლის მიღება-გადამუშავება და მისი დანიშნულებისამებრ გაგზავნა. მაგალითად, სოფელ შრომის პავილიონმა ყოველდღიურად უნდა მიიღოს და გადაამუშაოს 120 ტონა მსხალი იმ ვარაუდით, რომ დადგენილ 25 დღეში უზრუნველყოს დაგეგმილი 3.015 ტონა ნედლეულის გადამუშავება-გაგზავნა; ნატანების პავილიონმა დღეში 112 ტონა მსხალი უნდა გადაამუშაოს, მახარაძისამ — 53 ტონა, კონჭკათისამ — 44 ტონა, ჯუმათისამ — 32 ტონა. ეს პატარა საქმე როდია. ამიტომ ყველა რეზერვი უნდა ავამოქმედოთ ამ დიდი სახელმწიფო დავალების შესრულებისათვის.

— ასეთი დიდი რაოდენობით ხილის შემჭიდროებულ ვადებში მიღება-გადამუშავება და დანიშნულების ადგილზე გაგზავნა მთელ რიგ ღონისძიებებს მოითხოვს, — გვეუბნება მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. თენეიშვილი. — ჩვენ სპეციალურად გავაფრთხილეთ დეპუტატები, აქტივისტები, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკები, რომ ხილის კრეფა-დამზადებაში რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს.

პარტიის რაიკომთან ერთად მივიღეთ ღონისძიებები — სოფლების მიხედვით მიმღებ პუნქტებში მიმაგრებული გვყავს ავტომანქანები, გაფრთხილებულია სატრანსპორტო ორგანიზაციები, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ მსხლის დროულ ტრანსპორტირებას.

როცა ქაიფერას ჯიშის მსხლის შესახებ ვლაპარაკობთ, გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ამ ჯიშის მსხლის ბაღები დიდად შემოსავლიანია. იგი არ მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას, გურიაში თითქმის ყველგან ხარობს, მაგრამ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევენ, ამიტომ არის, რომ ამ ჯიშის ბაღები მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე აქვთ გაშენებული.

ლანჩხუთის რაიონი: იქნება 12.000 ტონა მსხალი!

ლანჩხუთის რაიონში ქაიფერას მსხლის უხვმოსავლიანი ბაღები აქვთ. **წელს ლანჩხუთელები 12.000 ტონა მსხალს ჩააბარებენ სახელმწიფოს, გეგმა კი 11.800 ტონას ითვალისწინებს.** აღსანიშნავია, რომ წელს აქაური მეხილეები უკეთ მოემზადნენ, ვიდრე წინა წლებში. რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ქმედითი ზომები მიიღეს თესლოვანი ხილის შემჭიდროებულ ვადებში კრეფა-გადამუშავებისათვის. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ქაიფერას მსხლის მიღება-გადამუშავებისათვის მოემზადნენ ღრმაღელის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ი. გოგუა) მუშაკები.

სეზონისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე სუფსის, ჩოჩხათის, აცანის, მამათის კოლმეურნეობათა მეხილეები, რომლებიც ამ დღეებში შეუდგებიან ქაიფერას კრეფას და დანიშნულების ადგილას გადაგზავნას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ პავილიონს შეუფერებელი ნაგებობანი აქვს. მაგალითად, ერთ-ერთი დიდი სოფლის ნიგვზიანის კოლმეურნეობის ხილის მიმღები პავილიონი შეუფერებელ, უვარგის შენობაშია. როგორც ადგილზე ნიგვზიანელმა ამხანაგებმა გვითხრეს, ეს შენობა ოთხი ათეული წლის წინათ სულ სხვა დანიშნულებისათვის აუგიათ, შემდეგ კი ხილის პავილიონი შეკედლებულა. მისვლისთანავე თვალში გვეცემათ ღია ცის ქვეშ დაყრილი ყუთები და სხვა უწესრიგობა. ნიგვზიანელები 1.633 ტონა ქაიფერას მოკრეფენ და ჩააბარებენ პავილიონს. მაგრამ ძნელია მისი დროული გადამუშავება ასეთ პირობებში. პავილიონმა დღეში 65 ტონა მსხალი უნდა მიიღოს და გადაამუშაოს, ფაქტიურად კი 40 ტონის მიღება-გადამუშავებაც გაუძნელდება, თუ რაიმე დროული ღონისძიება არ განხორციელდა.

ნიგვზიანის პავილიონი გამონაკლისი არ არის. როგორც შემოწმებამ ცხადყო, გურიის რაიონებში ხილის მიმღები პავილიონების ბევრი შენობა შესაკეთებელია.

შარშანდელი ნაკლოვანებანი წლეულს აღარ უნდა განმეორდეს, როცა საკონსერვო და ხილკენკროვანი ღვინის ქარხნები ყუთების დაბრუნებას დანაშაულებრივად აჭიანურებენ. აუცილებელია, რომ ქარხნები, საწარმოები იმავე დღეს, რაც შეიძლება სწრაფად უბრუნებდნენ ცარიელ ყუთებს დამმზადებელ ორგანიზაციებს.

ქაიფერა მსხალი რესპუბლიკის ხილის წარმოების საქმეში დიდი რეზერვია და მისი დამზადება მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების ხელმძღვანელთა საპატიო საზრუნავია. მალფუჭადი პროდუქცია დროზე და უდანაკარგოდ უნდა დამზადდეს და გადამუშავდეს.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მისაბაძი ინიციატივა

ონი. (საკ. კორ.). სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და პარტიის ონის რაიონულმა კომიტეტმა საბჭოთა მეურნეობის საანგარიშო დარგის მუშაკებისათვის მოაწყეს მოკლევადიანი სემინარი.

მოხსენებები მრავალ საინტერესო თემაზე გააკეთეს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დოცენტებმა ნ. შონიამ და ო. ქეშელაშვილმა, უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა შ. კვეზერელმა, დოცენტმა გ. სვანელიძემ, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოს მთავარმა ზოოტექნიკოსმა ს. ბუგიანიშვილმა, მთავარმა ბუღალტერმა გ. კერესელიძემ და უწერის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტმა კ. ჩიხრაძემ.

ეცნობიან ორსკელთა გამოცდილებას

ცხაკაია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა და პარტიის ცხაკაიას რაიკომმა მოაწყვეს თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „ორსკის საქალაქო კომიტეტში იდეურ-პოლიტიკური მუშაობისადმი კომპლექსური მიდგომის შესახებ".

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ესანჯიამ. მოხსენებები გააკეთეს პროფესორმა გრ. ბრეგვაძემ, დოცენტმა ი. კვესელავამ, პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ მ. პანტურიამ.

ბ. მიხეილიძე.

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

დისციპლინა, რკინისებური წესრიგი...

ვ. ი. ლენინი, ჩვენი პარტია ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ

საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლას გარკვეული პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას იმთავითვე მიიჩნევდნენ დამხობილი ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურ ფორმად. „ბურჟუაზია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — დღემდე ბრძოლას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, ბევრი მათგანი ჩვენ საზღვარგარეთ გავაძევეთ... მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი ათასი აქ და ომს უწევს ჩვენს წინააღმდეგ ბიუროკრატიული ხელიერების ყველა წესის მიხედვით". ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა შეგვექმნა „სხვაგვარი დისციპლინა, სხვაგვარი წყარო დისციპლინისა", რკინისებური დისციპლინა, რკინისებური წესრიგი.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სპეციალური სისხლის სამართლებრივი კანონის გამოცემას და ბიუროკრატთა და საქმის გამჭიანურებელთა მკაცრად დასჯას. იმავე დროს ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ არა მარტო ბიუროკრატი პირები, არამედ ის კომუნისტებიც, რომლებიც სათანადოდ ბრძოლას არ ეწეოდნენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. „პასუხისგებაში უნდა მივცეთ ის პარტიული ამხანაგები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომლებიც დადიან მთელ მოსკოვში და ანეკდოტებს ამბობენ ბიუროკრატიულ შემთხვევათა გამო".

აღსანიშნავია, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ჯერ კიდევ ადრე, 1918 წლის 8 დეკემბერს გამოიცა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს დადგენილება ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებათა სწრაფი, ზუსტი შესრულებისა და საკანცელარიო გაჭიანურებათა თავიდან აცილების შესახებ. ასევე, თანამდებობის პირთა მიერ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით 1919 წლის 30 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა სპეციალური დეკრეტი გაჭიანურების თავიდან აცილების შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები მაინც იყო ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებსა და ცენტრალურ აპარატში.

ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად საკმარისი არ არის კამპანიური ხასიათის ბრძოლის წარმოება და მარტოოდენ შიშველი ლოზუნგები. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ასეთი ფორმის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ვინც წინადადებას გაძლევთ, ბიუროკრატიზმს ბოლო მოუღოთ, ის დემაგოგია. თუ თქვენს წინაშე გამოდიან და ამბობენ — „ბოლო მოვუღოთ ბიუროკრატიზმს", ეს დემაგოგიაა. ეს ჩმახვაა. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძოლებთ, და ვინც სხვანაირად ფიქრობს, ის შარლატანობს და დემაგოგობს, რადგან იმისათვის, რომ ბიუროკრატიზმი დაძლიო, საჭიროა ასობით ღონისძიება, საჭიროა საყოველთაო წიგნიერება, საყოველთაო კულტურულობა, საყოველთაო მონაწილეობა მუშურ-გლეხურ ინსპექციაში".

ამრიგად, ვ. ი. ლენინი ბიუროკრატიზმთან ბრძოლას უაღრესად დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა და მოითხოვდა ბიუროკრატებისა და საქმის გამჭიანურებელთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას და მათ მკაცრად დასჯას სისხლის სამართლის კანონით.

ხელმძღვანელობდა რა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური მოძღვრებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი შემდგომშიც მტკიცედ იცავდნენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინურ პრინციპებს. მაგალითად, პარტიის XV ყრილობაზე საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ პირდაპირ ითქვა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანა ჩვენ წინაშე მუდამ იდგება, ვიდრე ჩვენში არის სახელმწიფო ხელისუფლება, ვიდრე არსებობს სახელმწიფო. ამასთან სახელმწიფო აპარატის სისუსტედ არ უნდა მივიჩნიოთ, რომ სახელმწიფო აპარატში მოიპოვებიან ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებიც აფუჭებენ და ამახინჯებენ მის მუშაობას.

საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ესოდენ დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, ჯერ კიდევ ადრე, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში ბიუროკრატიზმი შეტანილ იქნა, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედობა (214-ე მუხლი). იგი ასევე დასჯად ქმედობად იყო გამოცხადებული შემდგომ პერიოდში მოქმედ მოკავშირე რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით.

1959-1961 წლებში მიღებული ამჟამად მოქმედი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებიდან მხოლოდ სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ბრძოლას ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ, ისიც, მარტოოდენ გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვის საქმეში.

ბიუროკრატიზმი ხელს უშლის მშრომელ მასებს განახორციელონ საბჭოთა კონსტიტუციის მე-9 მუხლით მინიჭებული უფლება — აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის საქმიანობაში. ამავე დროს, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი ცალკეულ თანამდებობის პირთა ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას უდიდესი ზიანი მოაქვს სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

სკკპ XXIV ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა: „ისე არაფერი არ უცრუებს ადამიანს გულს, როგორც ცალკეულ მუშაკთა მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, უთაურობისა თუ ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომელთა შედეგად წყალში იყრება შრომა, საზოგადოებრივი დოვლათი, შექმნილი ფასეულობანი".

სისხლის სამართლის კოდექსებით ბიუროკრატიზმის დაუსჯელობა, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. იგი ბიუროკრატიზმის საზოგადოებრივი საშიშროების მცდარი შეფასების შედეგია. ბიუროკრატიზმთან ბრძოლას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ვფიქრობთ, სადავო არ არის, რომ საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი ერთ-ერთი ხელშემწყობი წინაპირობაა ისეთი ბინძური დანაშაულების ჩადენისა, როგორიც არის მექრთამეობა, გამოძალვა, თაღლითობა და სხვ.

საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით არა მარტო ცალკეული საწარმო-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირთა საქმიანობაში, არამედ „ბიუროკრატიზმი, — როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ითქვა, — ახასიათებს ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასაც, რაც არათუ აძნელებს ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს საზოგადოებას".

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, კანონის დარღვევების, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებს ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაშიც, ორგანოებისა, რომელთაც კანონით ევალებათ განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებს, დანაშაულის ნიშნებზე მიმთითებელ სიგნალებს, გულდასმით მოახდინონ მათი დროული წინასწარი შემოწმება და უყურადღებოდ არ დატოვონ დანაშაულებრივი ფაქტის მამხილებელი არც ერთი შემოსული მასალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნია სახელმწიფო აპარატისა და სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად. „საბჭოთა აპარატი, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — უნდა იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული და არ უნდა იჩენდეს არავითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას".

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებები განხორციელდეს საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გასაუმჯობესებლად, მის აღმოსაფხვრელად. რადგან „კერძომესაკუთრული ტენდენციები, — როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და უსულგულობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს".

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს მისი უფლებების შემლახავი თანამდებობის პირის უმართებულო მოქმედების შესახებ საჩივარი შეიტანოს სასამართლოში. ეს ახალი კონსტიტუციის თავისებურება, საბჭოთა ხალხის საუკეთესო მონაპოვარია და, ცხადია, იგი მოქალაქეთა უფლებების დაცვის — საუკეთესო გარანტიაც არის, მაგრამ, დავუშვათ, რომ მოქალაქემ საჩივარი შეიტანა სასამართლოში რომელიმე თანამდებობის პირის მიერ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიული მოქმედების შესახებ. ასეთ შემთხვევაში რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას და რა შეიძლება მოიმოქმედოს სასამართლომ? ცხადია, სასამართლოს არ შეუძლია აღძრას სისხლის სამართლის საქმე და შეუდგეს მის განხილვას, რადგან საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედობად არ არის გამოცხადებული. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ საკითხის დაყენება შესაბამის ორგანოებში ამ თანამდებობის პირის დისციპლინარული წესით დასჯის შესახებ.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით საკმარისი არ არის მარტოოდენ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა გატარება, არამედ მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებაც. რადგან როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის „ბიუროკრატები მარჯვენი არიან, მათგან ბევრი არამზადა უდიდესი გაიძვერაა. შიშველი ხელებით მათ ვერაფერს დააკლებ".

სისხლის სამართლის კანონით ბიუროკრატიზმის დანაშაულებრივ ქმედობად აღიარება არამც თუ ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, არამედ პირდაპირ გამომდინარეობს მისგან, იგი, შეიძლება ითქვას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური პრინციპების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის სწორედ ასეთ ღონისძიებათა განხორციელებას მოითხოვდა ვ. ი. ლენინი დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში, რომლითაც იუსტიციის სახალხო კომისარიატს ავალებდა: „მიღწეულ იქნეს დამნაშავეთა შერცხვენა პრესაშიც და სასტიკი სასჯელითაც. ...ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით მოსამართლეებს მოვთხოვოთ, რომ საქმის გაჭიანურებას უფრო სასტიკად სჯიდნენ".

შ. ფაფიაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი.

წერილები

„კომუნისტის" სარედაქციო ფოსტიდან

მეტი ყურადღება მშრომელთა მოთხოვნებს

ჩვენი მიმოხილვა

სარედაქციო ფოსტის მრავალფეროვნება ბუნებრივია — წერილები ხომ რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდინება. მკითხველები გვამცნობენ ადგილობრივ ამბებს, — მოგვითხრობენ წარმატებებზე, ნაკლოვანებებზე, გვიზიარებენ გამოცდილებას.

კორესპონდენციათა ანალიზი გვარწმუნებს, რომ ცხოვრება მტკიცე ნაბიჯით მიემართება წინ. ისიც ბუნებრივია, რომ მატერიალურ კეთილდღეობას კულტურულ, სულიერ მოთხოვნილებათა განუხრელი ზრდა მოსდევს. საშუალო ასაკის ადამიანებიც ვეღარ ცნობენ დღევანდელ ქალაქსა და სოფელს, იმდენად გარდაიქმნა ის. მაგრამ გასაკეთებელი ჯერჯერობით ბევრია და წერილები ამ ნაკლოვანებებსაც ამხელს.

გზის უვარგისობა კვლავ რჩება ზოგიერთი სოფლის სატკივრად...

გორის რაიონის მერეთის საშუალო სკოლის მოსწავლეები ბურჯმორყეული, მოძველებული, სავალალოდ საშიში ხიდის ამბავს გვატყობინებოდნენ.

ჩვენი კორესპონდენტი მდგომარეობას გაეცნო, ფაქტი დადასტურდა. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ლიახვზე დროებითი ხიდი გადო, ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს წინაშე კაპიტალური ხიდის მშენებლობის საკითხი დააყენა. მშენებლობის დაწყება კი იგვიანებს.

ურემი და ბოგირი ძველი სოფლის კოლორიტია, ავტომობილი და კაპიტალური ხიდი — ახლისა. შესამჩნევია, რომ სასოფლო გზებისა და ხიდების მშენებლობა თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩება. მერეთის საშუალო სკოლის მოსწავლეთა წერილი რედაქციამ კონტროლზე აიყვანა, პასუხს მოველით საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროსაგან.

სოფლის მოუწყობლობის საკითხს შეეხებოდა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კლდეისიდან მიღებული წერილიც.

თეთრი წყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ღალაქიშვილმა გვაცნობა: „წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. გზის უვარგისობის გამო სოფელში ავტობუსი არ მოძრაობდა. აღმასკომმა დაამტკიცა საწარმოო-საგზაო უბნის სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც კლდეისის გზის მშენებლობა აგვისტოში დაიწყება, ხოლო გაისად — დამთავრდება".

საქმე მოგვარდა და ავტობუსების მიმოსვლა აღდგა აგრეთვე ზესტაფონის რაიონის ტაბაკინის მცხოვრებთა კოლექტიური საჩივრის შედეგად. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს უფროსმა გ. ტყეშელაშვილმა მოგვწერა, რომ ზესტაფონის საწარმოო-საგზაო უბნის მიერ მიღებული ზომების შედეგად აღდგა საავტომობილო მოძრაობა.

ფოსტა ასახავს აგრეთვე იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებს ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

მოქალაქე ზ. ტაბატაძეს აწუხებდა თბილისში ნავთით მომარაგებაში არსებული წყვეტილობა. საქალაქო საბჭოს ვაჭრობისა და „საქნავთობმომარაგების" სამმართველოების მიერ მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

მკითხველთა კოლექტიური წერილი შეეხებოდა კაროს ქუჩაზე მდებარე საპარიკმახეროში პრეისკურანტით დაწესებული ფასების დამახინჯებას. ჩვენი სიგნალის შემდეგ თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ზომები მიიღო. გაერთიანება „ჰიგიენის" მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ საკითხი განიხილა, პარიკმახერი დ. ახობაძე გააფრთხილა. სამმართველომ საპარიკმახეროს კონტროლი დააწესა, უწესრიგობების კვლავ შემჩნევის შემთხვევაში მკაცრ ადმინისტრაციულ ზომებს მიმართავენ.

წერილების მიმოხილვაში ამჯერად ყურადღება ნაკლოვანებებს დავუთმეთ. და ეს, ვფიქრობთ, გასაგებია: დროულ გადაწყვეტას მოითხოვს საზრუნავი, რომელიც მშრომელებს გასჩენიათ. ეს არის ჩვენი უპირველესი მოვალეობა.

წერილი კომენტარით

როდემდე?

სად შევიძინოთ ბავშვისათვის ბამბის რეიტუზები? — ასეთი სათაური ჰქონდა ჯ. გაბარაშვილის, მ. მახარაძისა და ნ. მამულაშვილის მიერ რედაქციაში გამოგზავნილ წერილს.

— ზოგს შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს ამ უბრალო საკითხის სერიოზულად დასმა, — გვწერდნენ ისინი, — ჩვენ კი წლების განმავლობაში პრობლემად გვექცევა ბავშვებისათვის ბამბის რეიტუზების შეძენა. გაუგებარია რატომ ფერხდება მისი მიწოდება? ბოლო დროს მაღაზიებში ხშირად შევხვდებით ეგრეთ წოდებულ „უზომო" რეიტუზებს, მაგრამ, ხომ ცნობილია, რომ ბავშვის ორგანიზმისათვის სინთეტური ნაწარმის სისტემატური ხმარება სასურველი არ არის, ამასთან ბამბის რეიტუზები სამჯერ იაფი ღირს.

უპირველეს ყოვლისა ავტორებს გვსურს დავარწმუნოთ, რომ მათი შიში — იქნებ ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს ამ უბრალო საკითხის სერიოზულად დასმაო — უსაფუძვლოა. ეს საკითხი უბრალო არაა. ბავშვის რეიტუზები ფუფუნების საგანი არ გახლავთ. ის პირველი მოთხოვნილების საგანია და, რაც პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტი რაოდენობით სჭირდება ის რეიტუზები. გარდა ამისა, რედაქციას ადრეც არაერთხელ მიუღია სიგნალები სავაჭრო ქსელში ამ საჭირო ასორტიმენტის უქონლობის თაობაზე, ასე, რომ ეს ამბავი მხოლოდ ორ-სამ ადამიანს როდი აწუხებს.

საკითხის გასარკვევად ჩვენი კორესპონდენტი საქართველოს სსრ ვაჭრობისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს ეწვია. აი, რა უპასუხეს მას.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საქონლით ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ჯ. ჩიჩუამ და განყოფილების გამგემ ს. აბულაძემ:

— ბამბის რეიტუზებით ვაჭრობაში წყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ რესპუბლიკის მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს სავაჭრო ორგანიზაციების განაცხადებს. 1978 წელს სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნამ ბამბის რეიტუზებზე 4.100 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საჭირო ნედლეულისა და საწარმოო სიმძლავრეების უქონლობის გამო, ჩვენი განაცხადი მხოლოდ 300 ათას მანეთზე ანუ დაკვეთის 73,5 პროცენტზე მიიღო. ასე იყო 1977 წელსაც.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტრიკოტაჟისა და საფეიქრო საგალანტერიო მრეწველობის განყოფილების გამგემ ი. გოგუაძემ და უფროსმა ინჟინერმა ნ. შანშიაშვილმა:

ტრიკოტაჟისა და საფეიქრო საგალანტერიო მრეწველობის დარგში შემავალი თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება, რომელიც ბამბის რეიტუზებს უშვებს, საწარმოო სიმძლავრის შესაბამისად ყოველწლიურად ზრდის რეიტუზების წარმოებას, მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებს. მაგალითად, შარშან გეგმით გათვალისწინებული 1.800 ათასი წყვილის ნაცვლად გამოუშვა 1.825 ათასი წყვილი. 1978 წელს გათვალისწინებულია 2.507 ათასი წყვილის, ხოლო 1979 წელს — 2.600 ათასი წყვილის დამზადება. მაგრამ ეს სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მეტი რეიტუზის წარმოება საწარმოო სიმძლავრეების უქმარისობის გამო შეუძლებელია.

მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივა არის. მრეწველობის სპეციალიზაციის გეგმის თანახმად, მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია გაერთიანებაში შემავალი თბილისის წინდების ფაბრიკა გადაკეთდეს და სპეციალიზებულ იქნეს მხოლოდ ბავშვების ასორტიმენტის გამოშვებაზე.

საბავშვო რეიტუზების წარმოების სიმძლავრის შესახებ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ღონისძიებები სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ დაამტკიცა, 1980 წლის ბოლოსათვის მიღწეული იქნება 5.200 ათასი წყვილი ბავშვის რეიტუზის გამოშვება, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

„კომუნისტის" მკითხველთა კონფერენცია

მესტიის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში გაიმართა გაზეთ „კომუნისტის" მკითხველთა კონფერენცია. მასში მონაწილეობა მიიღეს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სისტემისა და ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ე. ხვისტანმა.

რედაქციის მუშაობის შესახებ კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა „კომუნისტის" რედაქციის წარმომადგენელი.

გამომსვლელებმა — ნ. გუჯეჯიანმა, ჯ. ფილფანმა, ი. პელიძემ, ა. გულედანმა, ნ. აფრასიძემ, მ. ქვანჭიანმა, რ. გურჩიანმა, თ. ჯაფარიძემ, ლ. ჯაჭვლიანმა არაერთი საქმიანი წინადადება და საინტერესო რჩევა შესთავაზეს რედაქციას მომავალ მუშაობაში გასათვალისწინებლად.

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

მეგობრობის ვითარებაში

30 აგვისტოს მოსკოვში მოლაპარაკება გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჰ. ხადამმა.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახლო აღმოსავლეთის ამბებს, ამ რეგიონის საკითხების სამართლიანი გადაჭრისათვის ბრძოლას. გაიმართა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემაზე. განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სირიის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. (საკდესი).

გამოფენა ქართული კინოს შესახებ

ბერლინი. (საკდესის კორ.). ბერლინში გაიხსნა კინოდოკუმენტების გამოფენა, რომელიც ასახავს ქართული კინოს განვითარებას მისი დაარსებიდან დღემდე. იგი მოაწყვეს კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა", სსრ კავშირის სახფილმოფონდმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კინოარქივმა, აგრეთვე გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურმა სახლმა. ამ ამბავთან დაკავშირებით აქ ჩამოვიდა საქართველოს სსრ კინოს მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი მეთაურობს.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურ სახლში გამოფენის გახსნისას სახლის დირექტორმა ფრიც შტუდემ აღნიშნა, რომ ეს არის ამგვარი პირველი გამოფენა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ქართული კინოს ისტორიას, ტრადიციებსა და განვითარების ძირითად მიმართულებებს. იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობას საშუალებას მისცემს უფრო უკეთ გაეცნონ ამ საბჭოთა რესპუბლიკის კინოხელოვნებას.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მ. კოკოჩაშვილმა თქვა, რომ მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს გამოფენის კარგად მოწყობისათვის. იგი ხელს შეუწყობს საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფისტების მეტ ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას, თქვა დელეგაციის მეთაურმა.

ქართველი სტუმრები აქ ყოფნის დროს ეწვევიან დეფას სტუდიას, გაეცნობიან მის მუშაობას, ესაუბრებიან რესპუბლიკის კინემატოგრაფისტებს. გამოფენა თითქმის ერთ თვეს გასტანს. შემდეგ იგი მოეწყობა ქალაქებში ლაიფციგში, მაგდებურგში, როსტოკში.

ყველა ქვეყნის ინტერესებისათვის

ვაშინგტონი. (საკდესი). სენატის საზღვარგარეთის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ჯ. სპარკმენმა დაგმო იმ წრეების ცდები, რომლებიც სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე მიმდინარე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას [illegible] სხვა საკითხებს, რომლებიც სულ არ ეხება მას.

თავის განცხადებაში იგი აღნიშნავს, რომ ამ მოლაპარაკების გაგრძელება და წარმატებული დამთავრება შეესაბამება შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს. ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის აზრთა სხვადასხვაობა და წინააღმდეგობა არსებობდა, მაგრამ მაინც დავიწყეთ მოლაპარაკება, რათა დაგვეცხრო ომის საფრთხე და მიგვეღწია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ჩვენ, რომ საბჭოთა კავშირთან არავითარი წინააღმდეგობა არ გვქონოდა, განაცხადა ჯ. სპარკმენმა, ასეთი შეთანხმება ეტყობა, საერთოდ აღარ იქნებოდა საჭირო. სწორედ ჩვენს შორის არსებული უთანხმოებანი ესოდენ მნიშვნელოვანსა და აუცილებელს ხდის გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმების დადებას, თქვა მან.

ვიეტნამის პროტესტი

ჰანოი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ახლახან ჩინეთის ექვსი თევზსაჭერი გემი შეიჭრა ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში ჩრდილოეთის პროვინცია ქუანგნინის რაიონში. ისინი დააკავეს ამ პროვინციის სასაზღვრო საგუშაგოებმა.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი შეხვდა ჩინეთის ჰანოის საელჩოს წარმომადგენელს და ენერგიული პროტესტი გამოთქვა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიული წყლების დარღვევის გამო. ეს პროვოკაციული მოქმედება, აღნიშნა მან, ვიეტნამის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და უშიშროების უხეში დარღვევაა.

ვიეტნამის წარმომადგენელმა ჩინეთის ხელისუფალთ მოსთხოვა განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი მსგავს მოქმედებათა აღკვეთისათვის.

ამერიკის დელეგაცია ლაოსში

ვიენტიანი. (საკდესი). აქ იმყოფებოდა ამერიკის დელეგაცია კონგრესმენ გ. მონტგომერის მეთაურობით.

როგორც კაოსან პატეტ ლაოს სააგენტო იტყობინება, მოლაპარაკების დროს განიხილეს ინდოჩინეთში აგრესიული ომის დროს ლაოსში დაღუპული ამერიკელი მფრინავების ნეშტის ძებნის საკითხები, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ინდოჩინეთში დაღუპული ოთხი ამერიკელი პილოტის ნეშტი ამერიკის დელეგაციას გადაეცა.

სტამბოლის მოსახლეობა

სტამბოლის მოსახლეობამ 5,5 მილიონს მიაღწია. უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ამ ქალაქის მოსახლეობა ათჯერ გაიზარდა. თუ თურქეთის მოსახლეობის ყოველწლიური მატება 2,5 პროცენტს შეადგენს, სტამბოლში იგი 6 პროცენტს უდრის, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მოჭარბებით ქვეყნის სუსტად განვითარებული რაიონებიდან.

საერთაშორისო ცხოვრება

30 აგვისტო

უცვლელი კურსით

საზღვარგარეთის პრესა კვლავ ფართოდ განმარტავს საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ყირიმში მეგობრული შეხვედრების შედეგები.

ყირიმში ორმხრივი შეხვედრების დროს, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო", კვლავ აღინიშნა, რომ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის შეუპოვარ ბრძოლაში გადამწყვეტი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს. კვლავ ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა თვალსაჩინო პირადი წვლილი მიუძღვის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ დასახული ლენინური მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, წერს გაზეთი, აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო აქტიური ღონისძიებანი განახორციელონ და ერთად იმოქმედონ სოციალისტურმა სახელმწიფოებმა დაძაბულობის შენელების, როგორც საერთაშორისო ცხოვრების წამყვანი ტენდენციის, განმტკიცებისა და გაღრმავების ინტერესებისათვის. ეს დასკვნა რაზმავს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებს, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კოორდინირებულ საგარეო პოლიტიკას, აწარმოებენ კიდევ უფრო მტკიცე ბრძოლას მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმის წინ წაწევისათვის.

ყირიმის შეხვედრები დიდმნიშვნელოვანი ფურცელი იყო სოციალისტური თანამეგობრობის ბრძოლის ისტორიაში მისი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის. ამ შეხვედრების დროს დადასტურებული აზრთა ერთიანობა ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიისა და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის დარგში განხილულ საკითხებზე შემდგომი ერთობლივი კოორდინირებული მოქმედების წარმატებათა გარანტიაა, რომლებიც ამრავლებენ მოძმე ქვეყნების ძალებს.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირს თავის მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ახლანდელ გართულებულ საერთაშორისო ვითარებაშიც განაგრძოს დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოების თანამიმდევრული კურსი. გაზეთი აღნიშნავს, რომ საჭიროა მტკიცედ აღუდგნენ წინ ყოველ ნაბიჯს, რომლებიც ძირს გამოუთხრიან დაძაბულობის შენელების პროცესს, საერთაშორისო განვითარებას დაატრიალებენ უკულმა, შეაბრუნებენ „ცივი ომის" დროისაკენ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აღნიშნა სერიოზული საფრთხე, რომელსაც ჩინეთის ახლანდელ ხელმძღვანელთა მოქმედება უქმნის მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს.

დოკუმენტის საერთო ოპტიმისტური სულისკვეთება ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, წერს გაზეთი.

ყირიმის შეხვედრებს, წერს პოლონური „გლოს პრაცი", დიდი მნიშვნელობა ექნებათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კომუნისტური პარტიებისა და ხალხების ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ჩინეთის ხელმძღვანელობა, წერს „გლოს პრაცი", უკვე დღეს მიმართავს აშკარა ექსპანსიონისტურ მოქმედებას. ამის დადასტურებაა ჩინეთის უხეში შოვინისტური ზეგავლენა ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე.

რუმინეთის პრესა ბეჭდავს მოკლე ცნობას იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული შეხვედრების შედეგები.

ყირიმის შეხვედრები, წერს იუგოსლავიური „პოლიტიკა", სარგებლობს იმ უმნიშვნელოვანესი ყოველწლიური დიალოგების რეპუტაციით, რომლებიც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სამოკავშირეო კავშირურთიერთობის განმტკიცების მიზნით ხორციელდება. როცა სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებთან ლ. ი. ბრეჟნევის საუბრების შედეგებს ვაანალიზებთ, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა ყველა სოციალისტური ქვეყანა ურთიერთმოქმედებდეს დაძაბულობის შენელების, როგორც საერთაშორისო ცხოვრების წამყვანი ტენდენციის დამკვიდრებისა და გაღრმავების ინტერესებისათვის.

დოკუმენტში ხაზგასმულია, წერს შვედური „ხვენსკა დაგბლადეტ", რომ ჩინეთის ახლანდელ ხელმძღვანელთა მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს. გაზეთი ყურადღებას მიაპყრობს დოკუმენტში მოცემულ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი სახელმწიფოს იმ ცდების კრიტიკას, რომ ჩაერიონ სოციალისტურ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ამ ქვეყნებში ვითომდა „ადამიანის უფლებათა დარღვევების" გამო პირფერული კამპანიების ნიღბით.

კაპიტალი და ახალგაზრდობა

ვის სცემენ ასე თავგამოდებით ეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდები — თავიანთ თანატოლს? მოხუცს? რა ძალა აიძულებთ მათ ასეთ სიმხეცეს. პასუხი ერთია — გარემო, რომელშიც გაიზარდნენ, ძალადობისა და მგლური ცხოვრების წეს-კანონები. ოლსტერში ტერორისა და ძალადობის 9 წლის განმავლობაში ბრიტანელი ჯარისკაცების (სწორედ ისეთების, როგორებსაც სურათზე ხედავთ) უშუალო მონაწილეობით მოკლულია თითქმის ორი ათასი და დაჭრილია 20 ათასი ჩრდილოეთ ირლანდიელი. ლონდონის მიერ ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვის შედეგად ამ პროვინციაში, გაზეთ „დეილი მირორის" თქმით, „იღუპებიან არა მარტო ადამიანები. აქ დემოკრატიაც ფაქტიურად უკვე მკვდარია".

საკდესის ფოტოქრონიკა.

დაკეტილი სკოლის კარი

ნიუ-იორკი. (საკდესი). წელს ათასობით ამერიკელი მოსწავლე ვერ გადააბიჯებს დროზე სკოლის ზღურბლს. სხვები კი კლასებში შესვლისას დაინახავენ გაურემონტებელ ჭუჭყიან კედლებს, დამსკდარ ჭერს, მიუსხდებიან მორყეულ მერხებს. მოსწავლეთა უმრავლესობა ვეღარ იხილავს ბევრ ადრინდელ მასწავლებელს, რადგან მათ ჯერ კიდევ ზაფხულში მიიღეს დათხოვნის უწყებები. ასეთ სავალალო სურათს ხატავს ამერიკული პრესა.

უარესი მდგომარეობა შექმნა ამერიკის შეერთებული შტატების შედარებით პატარა ქალაქებში. მაგალითად, კლივლენდში (ოჰაიოს შტატი) დღემდე არ არის გარკვეული დროზე გაიღება თუ არა საქალაქო სკოლების კარი, რადგან ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის სკოლის ხელისუფალთ გადასახდელი აქვთ 20 მილიონი დოლარი ვალი. ჯერჯერობით კი ამ ქალაქის ასი ათასი მოსწავლე დღეებს ქუჩებში ატარებს და მკითხაობს — რამდენ ხანს გაგრძელდება კიდევ საზაფხულო არდადეგები.

ქვეყნის სკოლების ათასობით მასწავლებელი გამოვიდა სასწავლო წლის დაწყების წინ ქალაქების ქუჩებში, რათა მოსთხოვონ ხელისუფალთ შეწყვიტონ შეერთებული შტატების მოზარდი თაობის ხარჯზე „მომჭირნეობის პოლიტიკა".

შავბნელი მომავალი

ფრანგი ჟან-ლუკი პარიზის მახლობლად „სიტროენის" საავტომობილო ქარხანაში მუშაობს. რას ფიქრობს იგი თავის სამუშაოზე?

— რა მაქვს სათქმელი?

ამას ამბობს თვრამეტი წლის ჟან-ლუკი, რომელმაც ეს-ეს არის აღიარა, საერთოდ, სამუშაო მომწონსო. მაგრამ... ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს. სხაპასხუპით ლაპარაკობს, ჩქარობს აგვიხსნას: სამუშაო მომქანცველი მოვალეობა არ უნდა იყოს, პროფესია უნდა მოგწონდეს, ადამიანები კი უნდა იცნობდნენ და ესმოდეთ ერთმანეთისა.

— სწორედ ქარხანაში, — განაგრძო მან, — ვგრძნობ თავს ეულად, ტაბელის ნომრად, ნულად.

მეტი არაფერი არა აქვს სათქმელი სამუშაოზე.

მომავლის გეგმები?

— ცოლის შერთვა არ მინდა, ფული არ მაქვს. მიჭირს. ისედაც, ოჯახი შექმნა და ვერც კი ხედავდე შვილებს, რადგან შინ ცვლის შემდეგ, ღამის თორმეტზე მოვდივარ, განა ეს ცხოვრებაა?

ყველას როდი შეუძლია გაუძლოს ასეთი სამყაროს შემოტევას, ყველას არა აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს მას.

ერთ ამერიკულ ფანტასტიკურ მოთხრობაში აღწერილია ომი, იყვნენ იქ (იმ ომში) დახოცილებიც. მაგრამ მედიცინა სასწაულს სჩადიოდა: ბოლოდ აღაცოცხლებდა ყველას და ყოფილი მიცვალებული კვლავ სასიკვდილოდ მიდიოდა. მაგრამ უცებ გამოჯანსაღებულნი ზედიზედ ქრებოდნენ ჰოსპიტლიდან. გამოძიებამ დაადგინა: იმდენად დიდი იყო ამ ადამიანების მისწრაფება თავიდან აეცილებინათ მათთვის მომზადებული ხვედრი, რომ მარტო ნებისყოფის დაძაბვით გადაჰყავდათ თავიანთი თავი სხვა, მხოლოდ მათთვის ნაგონილ და არსებულ კეთილ სამყაროში.

იტყვით — ფანტასტიკააო! დიახ, ფანტასტიკაა. მაგრამ განა ასევე უპერსპექტივო არ არის ფრანგი ჟან-ლუკის ცხოვრება?...

გაქცევის ცდა

ნარკომანიის მსხვერპლნი

სულ უფრო ხშირად კაპიტალიზმის უსამართლობით და მხეცობით გზამოჭრილი ადამიანები ირჩევენ რეალური ცხოვრებისაგან გაქცევის გზას — ნარკოტიკებს, რომლებიც დღეს, როგორც შავი ჭირი შუა საუკუნეებში, მძვინვარებს კაპიტალისტურ ქალაქში. არავინ არ იცის ნარკომანთა ზუსტი რიცხვი. ამაზე მსჯელობა, ალბათ, შეიძლება „გაქცევის ცდის დროს" დაღუპულთა რიცხვით: ყოველ ხუთ დღეში ნარკოტიკებისაგან კვდება ერთი ფრანგი, ყოველ ორ დღეში — ერთი იტალიელი.

სოციალური ლექსიკონი „ნარკომანიას" განსაზღვრავს როგორც უპირატესად ახალგაზრდული ასაკის ავადმყოფობას. ენთუზიასტი ჟურნალისტების გამოკვლევამ გამოავლინა ნარკომანთა ზუსტი სოციალური შემადგენლობა:

მათი 70 პროცენტი გამოსულია მუშათა და დეკლასირებული ოჯახებიდან.

60 პროცენტმა ვერ იშოვა სამუშაო და არა აქვს განათლება.

იტალიელი ფსიქიატრი ალბერტო მადედუ ნარკოტიკებისადმი დასავლელი ახალგაზრდების მისწრაფებას ბედნიერებისადმი ადამიანის ბუნებრივი მისწრაფებით ხსნის. მაგრამ ორი საათის ხელოვნური ნარკოტიკული სიხარული განუზომლად ძვირად ჯდება — ამის საფასურია გრძნობებისა და აზრების სიკვდილი: ნარკომანს უკვე აღარაფერი აღარ აინტერესებს ამ ცხოვრებაში, არც საქმეები, არც ადამიანები, იგი სოციალური ლეშია.

ნარკომანია სავსებით ამართლებს იმ ბერძნული სიტყვის აზრს, რომლისგანაც წარმოიშვა: გამოშტერება. ამიტომ ექიმები დასძენენ:

— არ უნდა დავივიწყოთ, ნარკოტიკები ის შხამია, რომელსაც ახალგაზრდობას სჩრიან პირში, რათა ჩაახშონ მისი პროტესტი.

პ. ტრუნოვი.

(ახალი ამბების სააგენტო).

დაძაბულობის ესკალაცია

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანის კონსერვატიული წრეები განაგრძობენ დაძაბულობის გამწვავებას ქვეყანაში. მემარჯვენე ქრისტიანთა შეიარაღებულმა შენაერთებმა კვლავ დაუშინეს ცეცხლი ლიბანში მშვიდობის დამცველ არაბულ სახელმწიფოთა ძალების პოზიციებს ლიბანის დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში, აინ არ-რუმანისა და შიახის რაიონებში. კონსერვატორთა რაზმების სნაიპერები განაგრძობენ მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორიზებას.

სამხრეთ ლიბანში ისრაელის მძიმე არტილერიამ კონსერვატორების არტილერიასთან ერთად ცეცხლი დაუშინა აიშიისა და ნაბატიის დასახლებულ პუნქტებს. ისრაელის თვითმფრინავები ბევრჯერ შეიჭრნენ ლიბანის საჰაერო სივრცეში და შემოუფრინეს ქალაქებს ტირსა და საიდას, აგრესორის სამხედრო კატარღები კი პატრულობდნენ ქვეყნის სანაპიროს.

სამხარო მოქმედების ესკალაციას თან ახლავს კონსერვატიული „ლიბანის ფრონტის" ხელმძღვანელთა პროვოკაციული განცხადებები. მათი მითითებით ვრცელდება ჭორები ლიბანის საქმეებში ისრაელის უშუალო ჩარევის შესაძლებლობაზე. ამავე დროს იზოლაციონისტები ქვეყნის სამხრეთში იმუქრებიან ისრაელის მოსაზღვრე ზონაში „ლიბანის თავისუფალი რესპუბლიკის" შექმნით. მაგალითად, კატაიბის პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ა. ჟმაიელმა ფალანგისტებს მოუწოდა „მოემზადონ ხანგრძლივი ბრძოლისათვის".

ამჟამად ლიბანში მიმდინარე ამბები ცხადყოფენ, რომ ისრაელთან შეთქმული კონსერვატიული ძალები ცდილობენ გაამწვავონ ქვეყანაში ვითარება, განაცხადა ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ქარიმ მრუემ ყოველკვირეულ „ალ-ჰურიასათვის" მიცემულ ინტერვიუში.

მართლაც რომ საოცრება

კომპოზიტორი-მომღერალი 8 წლისაა

ნიგერიის ეროვნულ თეატრში გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მომღერლის ფრენსის მბარგის გასტროლები. „დიდი მბარგა" — ასე უწოდებენ ფრენსისს მისი თაყვანისმცემლები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

სცენაზე გამოსვლების დროს მის ტემპერამენტს საზღვარი არა აქვს. ჭეშმარიტი აფრიკელივით დინამიკური და პლასტიკური ფრენსისი თავისი სიმღერებითა და შესრულების მანერით გულგრილს არ ტოვებს დამსწრე საზოგადოებას. მას აღტაცებით უკრავს ტაშს ყველა მაყურებელი. მას უგზავნიან უამრავ მადლობის წერილს, მას აღმერთებენ... „დიდ მბარგას" კი ჯერ 8 წელიც არ შესრულებია.

ფრენსისი დაიბადა პარიზში, სადაც მამამისი (კამერუნელი) და დედამისი (ნიგერიელი იორუბის ტომიდან) ხელმძღვანელობენ პატარა კინოსტუდიას და გრამფირფიტების ფირმას. ბიჭს მუსიკალური ნიჭი ადრე აღმოაჩნდა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ლაპარაკს დაიწყებდა. თავდაპირველად იგი ცდილობდა გაგონილი მუსიკა აეწყო დიდის ფორტეპიანოზე. შემდეგ დაიწყო საკუთარი სიმღერების შექმნა. მშობლებმა ბიჭი უჩვენეს სპეციალისტებსა და მუსიკოსებს, რომლებმაც, ერთხულოვნად აღიარეს, რომ ფრენსისს დიდი ნიჭი აქვს.

დაიწყო „დიდი მბარგას" ასვლა მუსიკალურ ოლიმპზე. იგი მიიღეს პარიზის მუსიკალურ აკადემიაში, სადაც ყველაზე პატარა მსმენელი იყო, გადაიღეს ორ სრულმეტრაჟიან ფილმში როგორც მრავალი მუსიკალური საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე, ფრენსისი მიიღეს მთელი რიგი სახელმწიფოების მთავრობების ხელმძღვანელებმა. უდიდესი მოთხოვნაა გრამფირფიტებზე, რომლებზეც მისი სიმღერებია ჩაწერილი.

ნორჩი მომღერალი კი პატარა ბიჭად რჩება — უყვარს თამაში თავის უმცროს ძმასთან. ბევრს კითხულობს, სიამოვნებით უყურებს მულტიპლიკაციურ ფილმებს და სპორტულ გადაცემებს, ხოლო მუსიკოსები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ვ. ალექსეევი,
საკდესის კორ.
ლაგოსი.

გარსთა თეორიის პრობლემები ● ლაპარაკობენ სტუმრები

მესამე საერთაშორისო

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისში მიმდინარეობდა მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი გარსთა თეორიაში, რომელიც აკადემიკოს ილია ვეკუას ხსოვნას მიეძღვნა. სხდომების შემდეგ სიმპოზიუმის მუშაობა შეაჯამა საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრმა პროფესორმა კ. კელედაინმა (დიდი ბრიტანეთი). მან თქვა: „სიმპოზიუმი დაიხურა, მუშაობა კი, რომელიც სიმპოზიუმის დღეებში დაიწყო, შემდგომაც გაგრძელდება".

რედაქციის თხოვნით ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი თ. ებანოიძე შეხვდა სოციალისტური შრომის გმირს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლ. სედოვს და თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტს პროფესორ ფ. ნიორდსონს (დანია) და კითხვებით მიმართა მათ.

რას ეტყოდით მკითხველებს გარსთა თეორიის თანამედროვე მდგომარეობის თაობაზე?

ამ კითხვაზე ლ. სედოვმა უპასუხა: — ახალი ტექნიკის ყველა სწრაფად განვითარებად დარგში გამოიყენება კონსტრუქციები, რომლებიც ძირკად გარსებს წარმოადგენს და გაკეთებულია ლითონებისა და ფენოვანი სტრუქტურის თანამედროვე მასალებისაგან: ასეთი კონსტრუქციები გვხვდება ატომურ ტექნიკაში, რაკეტულ ტექნიკაში, საზღვაო აპარატებში და, რა თქმა უნდა, სამშენებლო ტექნიკაში. მსგავსი კონსტრუქციების თეორია რთულია და საკითხები მათი მდგრადობის დაკარგვისა, რაც რღვევამდე მიდის, ექსპერიმენტებთან შეთანადებული თეორიული გათვლების საშუალებით დიდხანს ვერ წყდებოდა დამაკმაყოფილებლად. ამჟამად აღნიშნული მიმართულებით მიღწეულია საგრძნობი პროგრესი და ეს გარემოება კარგად აისახა სიმპოზიუმზე წაკითხულ საინტერესო მოხსენებებში. გარსთა თეორიაში გათვლების ბევრი ფუნდამენტური მეთოდი საბჭოთა სპეციალისტებმა დაამუშავეს.

გთხოვთ, რამდენიმე სიტყვა გვითხრათ აკადემიკოს ილია ვეკუას წვლილზე გარსთა თეორიაში. იქნებ გაიხსენოთ მასთან დაკავშირებული რაიმე ეპიზოდი?

— გარსთა თეორიის განვითარებაში ილია ვეკუას დიდი მეცნიერული დამსახურება აქვს და, გასაგებია, ეს სიმპოზიუმიც მის ხსოვნას რომ მიეძღვნა. ჩვენ არაერთი შეხვედრა გაგვიტარებია ნაყოფიერ სჯა-ბაასში. ილია ვეკუას მოღვაწეობაში მე მხიბლავდა ნათელი ანალიზი და მსჯელობა, მისთვის დამახასიათებელი საღი აზრი თეორიისა თუ პრაქტიკის ყველა საკითხის გადაწყვეტისას. ილია ვეკუა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და მის მიერ ჩაყრილი ფუნდამენტები შემდგომშიც ამოიმართება, ხოლო მისი მიღწევების მნიშვნელობა უფრო და უფრო გასაგები გახდება მომავალი პროგრესის შუქზე.

ყველაზე მნიშვნელოვან ეპიზოდად კი, რომელიც ილია ვეკუას სახელთან არის დაკავშირებული, მე გავიხსენებდი მის გენერალურ მოხსენებას თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში მსოფლიო კონგრესზე მიუნხენში, 1964 წელს. ეს იყო ბრწყინვალე გამოსვლა.

თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში საერთაშორისო კავშირის შესახებ.

ამ კითხვაზე უპასუხებს **ფ. ნიორდსონი:**

— ეს კავშირი პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიქმნა და მისი კონგრესები ყოველ ოთხ წელიწადში იმართებოდა მეორე მსოფლიო ომამდე. 1946 წლიდან კავშირი კვლავ ხელმძღვანელობს კონგრესებსა და სიმპოზიუმებს. ყოველწლიურად 5-6 სიმპოზიუმი ეწყობა სრულიად სპეციალურ დარგებში. რამდენიმე მათგანი საბჭოთა კავშირში ჩატარდა, ერთი კი ახლაც მიმდინარეობს ნოვოსიბირსკში. მომავლისათვის ორი წლით ადრე დაგეგმილია სიმპოზიუმები სითხეთა მექანიკასა და მყარ სხეულთა მექანიკაში.

ჩვენი საერთაშორისო კავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს მეცნიერთა კონტაქტების დამყარებაში.

რამ განაპირობა თბილისის არჩევა ახლანდელი მეცნიერული ფორუმის ჩასატარებლად?

— პასუხი მარტივია: აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ილია ვეკუა. ამით ყველაფერია ნათქვამი. მან იკისრა ამ სიმპოზიუმის ორგანიზების ინიციატივა და ჩვენ სიხარულით დავეთანხმეთ მის წინადადებას. გარდა ამისა, თბილისში მოწყობილი წინა ორი სიმპოზიუმიდან ცხადი გახდა, რომ ახლანდელიც მაღალ დონეზე ჩატარდებოდა და რომ ჩვენ კვლავ ვიგრძნობდით ქართულ სტუმართმოყვარეობას.

აკადემიკოს ი. ვეკუას პირველად შევხვდი დელფტში (ჰოლანდია) პირველ სიმპოზიუმზე გარსთა თეორიაში. სასტუმროში, მის ნომერში ჩვენ გვქონდა სასიამოვნო, შინაარსიანი საუბარი. მე ადრეც ვიცნობდი მის შესანიშნავ ნაშრომებს და მივიწვიე ადგილობრივ სიმპოზიუმზე, რომელსაც დანიის გამოყენებითი მექანიკის ცენტრი მართავდა. შემდგომ ი. ვეკუა ამ ცენტრის წევრად აირჩიეს სამ სხვა უცხოელთან ერთად. კმაყოფილებით ვიგონებ ხოლმე კიდევ შეხვედრებს თბილისში აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილთან 1963 წელს, კომპლექსურ ფუნქციებში მოწყობილ სიმპოზიუმზე.

სიმპოზიუმზე განიხილეს მეტად მნიშვნელოვანი მოხსენებანი „მდგრადობაზე ექსპერიმენტების ურთიერთკავშირი გარსთა თეორიასთან" პროფესორ რ. ტენისონისა (კანადა); „პლასტიკური გარსების თეორიის შესახებ" აკადემიკოს ა. სავჩუკისა (პოლონეთი); „ნახევრად შემოსაზღვრული გარსების რეზონანსული თვისებები" სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ი. ვოროვიჩისა.

ქართველი მეცნიერების ჯგუფური მოხსენებანი, რომლებიც წაიკითხეს პროფესორებმა ე. ობოლაშვილმა და გ. ძღენტმა, ძირითადად შეეხებოდა გარსებისა და ფირფიტებისათვის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნას აკადემიკოს ი. ვეკუას თეორიებისა და მეთოდების მიხედვით.

სწავლულთა საერთაშორისო ფორუმზე განხილული და დამუშავებული საკითხები მსოფლიო მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი შენაძენია. თბილისში აღებული სტარტი ნათელს მოფენს გარსთა თეორიის ბევრ ურთულეს პრობლემას.

მატჩები მსოფლიოს პირველობაზე

მოსაგებ პოზიციაში

ბიჭვინთა. მსოფლიო პირველობის მატჩის მეხუთე პარტია ჩიბურდანიძემ, როგორც ყოველთვის, მეფის წინა პაიკით დაიწყო. მსოფლიოს ჩემპიონმა მიმართა უფიმცევის დაცვას, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს მის რეპერტუარში. დაფაზე წარმოიქმნა დაახლოებით თანაბარი, მაგრამ რთული პოზიცია.

შავების მე-16 სვლა და შემდგომი მანევრები საეჭვო იყო. პრეტენდენტმა ჩინებული თამაშით დიდ უპირატესობას მიაღწია. ამასთან გაფრინდაშვილი დროის მწვავე ნაკლებობასაც განიცდიდა.

პარტია გადაიდო. ჩიბურდანიძემ ჩაიწერა 41-ე სვლა. მას ზედმეტი ხარისხი და პაიკი აქვს, რაც გამარჯვების დიდ შესაძლებლობებს აძლევს.

დღეს მეტოქეებმა უნდა დაამთავრონ ეს პარტია.

ანგარიში კვლავ — 2,5:1,5 პრეტენდენტის სასარგებლოდ.

ჩიბურდანიძე — გაფრინდაშვილი

უფიმცევის დაცვა

1. c4 d6 2. d4 მf6 3. მc3 g6 4. მf3 კg7 5. კe2 c6 6. a4 a5 7. 0-0. 0-0 8. h3 მa6 9. ეe1 ლc7 10. კg5 h6 11. კe3 მფh7 12. ლd2 მb4 13. ეad1 კd7 14. მh2 b5 15. კf3 ba 16. მg4 h5 17. მ:f6+ ef 18. კf4 ეfe8 19. მ:a4 g5 20. კg3 g4 21. hg hg 22. კe2 f5 23. ef კ:f5 24. c3 მd5 25. კd3 კ:d3 26. ლ:d3+ მფg8 27. ლf5 მf6 28 ლf4 ლb7 29. ლ:d6 მe4 30. ე:e4 ე:e4 31. მc5 ლc7 32: მ:e4 ლ:e4 33. ეa1 a4 34. b3 კf8 35. ლf4 ლg6 36. ba ე:a4 37. ე:a4 ლb1+ 38. მფh2 ლh7+ 39. კh4 ლ:h4+ 40. მფg1 ლh5 თეთრებმა ჩაიწერეს 41-ე სვლა.

შრომის ჩათვლა — „ფრიადზე"

დაბრუნდნენ მშენებელ სტუდენტთა რაზმები

თბილისის ვაგზლის მოედანზე გაისმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სამშენებლო რაზმის მებრძოლთა შრომითი გამარჯვებების პატაკები. აქ ზეიმით შეხვდნენ ამ უმაღლესი სასწავლებლის მშენებელ სტუდენტებს, რომლებიც სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ სმოლენსკიდან, სადაც თავიანთი „მესამე სემესტრის" დროს შრომობდნენ.

ზუსტად ორი თვის წინათ გაემგზავრნენ აქედან რუსეთის სფსრ რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიან ზონაში უნივერსიტეტის გაერთიანებული რაზმი, რომლის შემადგენლობაში ათასი ახალგაზრდა მოხალისე იყო.

— სმოლენსკის ოლქის ხუთ რაიონში — მონასტერშჩინის, კრასნის, როსლავლის, შუმიაჩისა და ხისლოვიჩის რაიონებში ვაშენებდით მეცხოველეობის კომპლექსებს, საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, კლუბებს, სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მეთაურმა, სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტმა რ. ჯანაშიამ. — ადგილობრივ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად უნდა შეგვესრულებინა 1800 ათასი მანეთის სამუშაოები. გეგმა-დავალების გადაჭარბებით შევასრულეთ 200 ათასი მანეთის სამუშაოები.

საარიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტთა რაზმის მეთაურს ო. დაბრუნდაშვილს ხელთ უპყრია სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დროშა, რომელიც რაზმს მიენიჭა როსლავლის რაიონში აპარატურის ქარხნის მშენებლობაზე დამკვრელური შრომისათვის.

კეთილი კვალი დატოვა სმოლენსკის ოლქში უნივერსიტეტის სტუდენტთა 22-ივე სახაზო რაზმმა.

მშენებელ სტუდენტებს სადგურზე დახვდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. შარტავა.

(საქინფორმი).

ეძღვნება ლ. ტოლსტოის

მ. ვრუბელის ცნობილი ნახატი — „ანა კარენინა ვაჟიშვილთან ერთად" — ფრაგმენტშა დაამშვენა ლ. ნ. ტოლსტოის სასაჩუქრო გამოცემის ყდა, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა კიევში, გამომცემლობა „დნიპროში". წიგნში მოთავსებულია რომანის ხელნაწერის ფრაგმენტების ფოტოასლები და დიდი მწერლის პორტრეტის ესკიზი, რომელიც ი. კრამსკოის ეკუთვნის. რომან „ანა კარენინას" ახალი გამოცემა მიეძღვნა ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავის იუბილეს, რომელიც ფართოდ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში სექტემბერში.

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის გამსახკომში აცნობებს, გამოცემების საიუბილეო გეგმაში შეტანილია ტოლსტოის 155 ნაწარმოები, აგრეთვე მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოცემები 26 მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. გამოვა აგრეთვე მწერლის სასაჩუქრო გამოცემები, ალბომები, პორტრეტები, ღია ბარათები მისი ნაწარმოებების რუსი და საბჭოთა მხატვრების მიერ შესრულებული ილუსტრაციებით.

(საკდესის კორ.).

„მხარდამხარ"

ახალი ქართული სატელევიზიო ფილმის გამო

ახალი სატელევიზიო ფილმი „მხარდამხარ", რომლის სცენარის ავტორია **გიორგი ლებანიძე,** ხოლო რეჟისორი **რევაზ გამცემლიძე,** სიმართლით, შეულამაზებლად გვაცნობს პარტიული მუშაკის ყოველდღიური საზრუნავისა და მოღვაწეობის ამბავს.

ეს საზრუნავი კი, მოგეხსენებათ სახალხო დოვლათის სიუხვისათვის, ხალხის ცხოვრების შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაა. სწორედ ეს არის ძირითადი აზრი ფილმისა, რომელიც მოგვითხრობს გურჯაანელ მშრომელებზე, კერძოდ კი ჩუმლაყელ კოლმეურნეებზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვალიკო უტიაშვილის ენერგიულ მოღვაწეობაზე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მევენახე გიორგი კენკაშვილის, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრის ივანე ჯვირილაშვილისა და სხვათა ყოველდღიურ შრომაზე. ფილმს ლეიტმოტივად გასდევს გაუხუნარი ანდაზა — **„სოფელი ლონიერია, თუ კაცი გონიერია".**

ფილმის ემოციურობას ზრდის მასში ორგანულად ჩართული კინოფილმ „ჯარისკაცის მამის"-ის ეპიზოდი, როცა გურჯაანელი გიორგი მახარაშვილი მთელი გულით იცავს სხვის მიწა-წყალზე გაშენებულ ვაზს ტანკის გადათელვისაგან. რეჟისორ რ. გამცემლიძესთან ერთად ოპერატორებს ვ. ტატიშვილს, გ. სარაჯიშვილს, ხმის ოპერატორ მ. დარჩიევს და მთლიანად გადამღებ ჯგუფს არ დაუზოგავთ ცოდნა, გამოცდილება და სურვილი, რათა მოქალაქეობრივი ჟღერადობის ფილმი შეექმნათ.

ს. დოლიძე.

ქართული თოჯინები სომხურად ალაპარაკდნენ

უკვე რამდენიმე წელიწადია ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება დრამატურგ ჩესი ლეჟავიშვილის პიესა „მზიურა". ეს არის შთამბეჭდავი ამბავი ხელოვნების, კერძოდ, მუსიკის დიდ გამაკეთილშობილებელ ძალაზე მოზარდის ესთეტიკურ აღზრდაში.

პიესით დაინტერესდა მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევნის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, რომელმაც გატაცებით იმუშავა და ნაწარმოები სეზონის ბოლო პრემიერად წარმოადგინა. საგულისხმოა, რომ გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქას" შემდეგ ეს მეორე ქართული პიესაა, რომელიც ამ სცენაზე დაიდგა.

წარმოდგენა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ასლანიანმა, რომელმაც თოჯინებთან ერთად სცენაზე შეიყვანა ნიღბიანი მსახიობები, უხვად გამოიყენა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. დადგმაში ბევრია გონებამახვილური მიგნება. სპექტაკლის მხატვარია შ. მურადიანი, კომპოზიტორი გ. მახმარაჯიანი, ქორეოგრაფია ეკუთვნის სომხეთის სსრ დამსახურებულ არტისტ ბ. ორდოიანს.

როლებს ასრულებდნენ ა. გევორქიანი, ა. ნაგაშიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. არუთინიანი, რ. გიულუმიანი, ს. ზაქარიანი, პ. ხაჩიკიანი, დ. მარტიროსიანი, ა. აკოფიანი, გ. გალსტიანი და სხვ.

დ. კაკაბაძე.

ჩვენი მოსწავლეები უფასოდ იმგზავრებენ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განკარგულებით პირველ სექტემბერს საქალაქო და საგარეუბნო საავტობუსო მარშრუტებზე საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები უფასოდ იმგზავრებენ.

რთველი კარს მოგვადგა

ყვარლელები ემზადებიან



ქარვისფერი მტევნებით დახუნძლულა ყვარლის რაიონის მეურნეობათა უკიდეგანო ზვრები.

900 ჰექტარზე მეტი უკავია ვენახს სოფელ გავაზის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეებს იმედი აქვთ, რომ 374 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერს მოკრეფენ, გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად.

რთვლისათვის ემზადება ჭიკაანის ღვინის ქარხანა, რომელიც შარშან ჩადგა მწყობრში. ქარხანაში დააყენებენ ისეთ ცნობილ ღვინოებს, როგორიც არის „წინანდალი", „გურჯაანი" და „ვაზისუბანი". აქ 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი დაიწურება, დავალება კი 8 ათას ტონას ითვალისწინებს. ქარხანა მთლიანად უზრუნველყოფილია ღვინის ჭურჭლით, სამაცივრო დანადგარებით, თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზებით.

* * *

სურათებზე: ჭიკაანის ღვინის ქარხნის ღვინო-მასალების შესანახი ჭურჭელი; დიდი ვალდებულებანი იკისრა ახლანდელი რთვლისათვის სოფელ გავაზის კოლმეურნეობის მევენახემ ხიკო ბეროშვილმა; სოფელ შილდის კოლმეურნეობის მევენახე მირიან კევლიშვილი გოდრებს ამზადებს რთვლისათვის.

ო. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კვარია მოხდა, ვინ არის დამნაშავე?

დაუდევრობის მსხვერპლნი

ის კვირა სამგლოვიარო იყო ამბროლაურის რაიონის პატარა სოფლის თხმორის მცხოვრებთათვის — ერთ-ერთ თანასოფლელს ასაფლავებდნენ.

ამ სოფლის სიძეს, ქუთაისის საგრენაჟო ქარხნის მძღოლს გიული ჯანელიძეს გვიან მოაგონდა, რომ იგი სწორედ ამ გლოვის დღეზე იყო მიწვეული და უმალ სატვირთო ავტომანქანის საჭეს მიუჯდა. მან ჩქარი სვლით გაიარა ქუთაის-ონის გზის დიდი მონაკვეთი, ღვარდის ხიდით მდინარე რიონი გადაკვეთა და თხმორისაკენ აიღო გეზი. სველ და ციცაბო აღმართზე ავტომანქანა მოცურდა, ხევში გადაეშვა და მძღოლი ქვეშ მოიყოლია.

დილით უბედურების ადგილზე მთელი სოფელი მოვიდა. შეიქნა მითქმა-მოთქმა, ზოგმა საბედისწერო შემთხვევის მიზეზად ღვინო მიიჩნია, ზოგმა კი სამართლიანად ქუთაისის საგრენაჟო ქარხნის დირექტორი ც. მაჭარაშვილი დაადანაშაულა, რომელმაც სახელმწიფო მანქანა ისე ჩააბარა მძღოლს, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყოს, რის საგზური, რის გარაჟი.

ასეთ უკონტროლობასა და თავაშვებულობას ოჯახური ტრაგედია მოჰყვა შედეგად — დაიღუპა ადამიანი, შვილების მამა, დაქვრივდა ახალგაზრდა ქალი, მწყობრიდან გამოვიდა სახელმწიფო ავტომანქანა.

შეიძლება ამაზე არ გაგვეგრძელებინა საუბარი, რომ უბედურებას უბედურება არ მოჰყოლოდა. მომდევნო კვირას სოფელ ქობეთში დადუპული მძღოლი უნდა დაესაფლავებინათ. დაკრძალვაზე წასვლის სურვილი ბევრმა თხმორელმა გამოთქვა, მაგრამ ავტომანქანა იყო საჭირო. და აი, დაბარებულივით ისიც გამოჩნდა. სოფელში შემოგრიალდა „გაზ-51" მარკის № 80-40 სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც ქუთაისის სატვირთო-მექანიკური ქარხნის მძღოლი, თხმორელი ანზორ გიორგობიანი მართავდა. მძღოლმა ავტომანქანის ღია ძარაზე 43 კაცი დასვა და ქობეთისაკენ დაიძრა. გადატვირთულმა მანქანამ რამდენიმე კილომეტრი მშვიდობიანად გაიარა, მაგრამ ტაშტის წყაროსთან მანქანა უეცრად ოთხმოცმეტრამდე სიმაღლიდან აბობოქრებულ რიონში გადაიჩეხა.

ერთი ქალი, ორი მცირეწლოვანი ბავშვის დედა იქვე გარდაიცვალა, მეორე გზაში, გამოესალმა სიცოცხლეს, ხოლო მესამე ქალი და ერთი მამაკაცი ონის სასოფლო საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ოცდაათამდე მძიმედ დაშავებული მგზავრი და თვითონ მძღოლი საავადმყოფოში მოათავსეს.

ეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მრავალი მიზეზით იყო განპირობებული. ყველაზე აღმაშფოთებელი მაინც ქუთაისის სატვირთო-მექანიკური ქარხნის მესვეურების, პირადად მისი დირექტორის დ. ზვიადაძის დაუდევრობა და გულგრილობა მიგვაჩნია. ნეტავ, რას ფიქრობდა იგი, როცა ქარხნის სატვირთო ავტომანქანა ორი დღე უნებართვოდ იყო წასული და გარაჟში არც კი შესულა.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ჟურნალების ახალი ნომრები

„სკოლა და ცხოვრება" № 8

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის **„სკოლა და ცხოვრების"** მორიგი, მერვე ნომერი, რომლის მასალების საგრძნობი ნაწილი ეძღვნება მასწავლებელთა წლევანდელ აგვისტოს კონფერენციებს, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ იმის კონკრეტული გზები და საშუალებები, თუ როგორ შეასხან ხორცი ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასახულ ახალ, დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

„საბჭოთა ხელოვნება" № 8

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის **„საბჭოთა ხელოვნების"** მორიგი, მერვე ნომერი.

□

„საბჭოთა მედიცინა" № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთვიური ჟურნალის **„საბჭოთა მედიცინის"** მორიგი, მეოთხე ნომერი.

მძლეოსნობა

მეთორმეტე ევროპული...

პრაღაში დაიწყო ევროპის XII ჩემპიონატი მძლეოსნობაში. პირველ დღეს საკვალიფიკაციო ასპარეზობაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში ვილნიუსელმა ვილმა ბარდაუსკენემ. ამჯერად მან 709 სანტიმეტრი გადალახა და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა 11 დღის წინათ კიშინიოვში დამყარებული თავისივე რეკორდი.

ამ დღეს გამოვლინდა ორი ჩემპიონი: 3000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ანდიჟანელმა სვეტლანა ულმასოვამ (8.33,2), ხოლო 10-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო ფინელი მარტი ვაინიო (27.31,00). ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ვილნიუსელი სტაიერი ალექსანდრე ანტიპოვი. მან საკავშირო რეკორდი დაამყარა (27.31,5) და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მეორე ადგილზე ასეთივე შედეგით გავიდა იტალიელი ვენანციო ორტისი. მან ანტიპოვს სულ რაღაც სანტიმეტრით მიასწრო ფინიშზე.

□

მ ო კ ლ ე დ

ფეხბურთი. გაიმართა „ა" კლასის მეორე ლიგის IV ზონის გუნდების ოცდამეცამეტე ტურის მატჩები. ამ ტურში საქართველოს გუნდები კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ. შედეგები ასეთია: „დინამო" (ბათუმი)-„დინამო" (სოხუმი) — 0:1, „ლილა" (გორი)-„დინამო" (ზუგდიდი) — 3:2, „გურია" (ლანჩხუთი)-„ლოკომოტივი" (სამტრედია) — 5:0.

ჭადრაკი. მეხიკოში გრძელდება ახალგაზრდული გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალურ ტურნირში გზა გაიკაფეს სსრ კავშირის, კუბის, ინგლისის, აშშ-ის, მექსიკის, კოლუმბიის, ავსტრალიის, ბრაზილიის, კანადისა და შოტლანდიის ნაკრებმა გუნდებმა. ფინალური ეტაპის სამი ტურის შემდეგ 8,5-8,5 ქულით (თითო გადადებული პარტიით) დაწინაურდნენ სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდები.

კალათბურთი. ვილნიუსში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, რომელზეც ტრადიციულად თამაშდება მსოფლიოს პირველი კოსმონავტის ი. გაგარინის თასი. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ხუთივე მატჩი მოიგო და პირველობა დაისაკუთრა. საბჭოთა კალათბურთელებმა ბოლო შეხვედრა მოუგეს ამერიკელებს (104:99). ამერიკელებმა 4 მოგებით მეორე ადგილი დაიკავეს.

ტანვარჯიში

დიდი წარმატება

მალხაზ თათარაძემ დონეცკში ორი ოქროს მედალი მოიხვეჭა

□

დონეცკში ტანვარჯიშულ მრავალჭიდში გამართულ სსრ კავშირის თასების გათამაშების შემდეგ მოეწყო ცალკეულ იარაღებზე ქვეყნის ჩემპიონატი. ამ ასპარეზობაში დიდი წარმატება მოიპოვა გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის აღზრდილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტმა მალხაზ თათარაძემ. მან ტაიჭზე (18.7 ქულა) და ბჯენით ხტომებში (18,725) ტიტულოვან მეტოქეებს აჯობა, სსრ კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვა. მალხაზ თათარაძის მწვრთნელია საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ოთარ მიქელაძე. ვაჟთა შორის დანარჩენ იარაღებზე გამარჯვებულნი არიან: თავისუფალ ვარჯიშში — მინსკელი ვ. ლევენკოვი (18,525), ორძელზე — ვორონეჟელი ა. ტკაჩოვი (18,775), ღეროზე — მოსკოველი გ. კრისინი (19,0), რგოლებზე ვარჯიშში უძლიერესი იყო მრავალჭიდში სსრ კავშირის თასის მფლობელი ლენინგრადელი ა. დიტიატინი (19,0).

მალხაზ თათარაძე

ქალთა შორის ორი ოქროს მედალი მოიხვეჭა მრავალჭიდში სსრ კავშირის თასის მფლობელმა, ლენინსკ-კუზნეცკელმა მ. ფილატოვამ (თავისუფალ ვარჯიშში — 19,875 და დვირზე — 19,625). ორძელზე უძლიერესი იყო მოსკოველი ე. მუხინა (19,6), ბჯენით ხტომებში — კიეველი ს. ზახაროვა (19,175).

სსრ კავშირის სახშრომშემნახველო სალაროების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო

აცხადებს, რომ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1978 წლის მერვე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟის ოფიციალურ ცხრილში, რომელიც დაიბეჭდა 29 აგვისტოს, 25826 სერიის ნაცვლად უნდა იყოს 24826 სერია.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ტელევიზია

31 აგვისტო

პირველი პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „გოგობა და ნიაზი", 18.15 — განცხადებები, 18.20 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი, 18.50 — მოსწავლეთათვის „მეგობრობის მერიდიანზე", 19.20 — „ოქროპირი" სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (ფერადი), 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. სტუდიაშია სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ვ. ელიუტინი (მოსკოვიდან), 20.20 — „საესტრადო სუვენირები" — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. სტუდიაშია საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ქინქლაძე (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „უმამობა" (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯამბაზები" (ფერადი), 18.25 — განცხადებები, 18.30 — მხატვრული ფილმი „ნუგბარი ქალი" (ფერადი).

რადიო

1 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — „ჩვენი მთა ბარის ჰანგები", 06.50 — „სოფლის დილა", 07.31 — „დილის კონცერტი", 08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — „მოვდივარ, მომიხარია". ახალგაზრდული სიმღერები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 10.15 — „მწერალი მიკროფონთან. ა. ალექსინი — „სიტყვა მასწავლებელზე" (მოსკოვიდან), 11.05 — ვ. მოცარტი. დივერტისმენტი, 11.40 — „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა" — ქართველი პოეტების ლექსები, 12.15 — ა. მაჟუკოვი, პოპური საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, რომლის პროგრამა შეადგინა საგამომცემლო-პოლიგრაფიულ გაერთიანება „განათლების" მოწინავე მბეჭდავმა დ. ზუბიაშვილმა, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები" (მოსკოვიდან), 13.50 — მოსწავლეთათვის გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 14.08 — რ. ინანიშვილი „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება". რადიოდადგმა, 15.00 „ მეგობართა ხმები". ვიეტნამის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი გადაცემა ჰანოიდან, 16.40 — „საერთო საზრუნავი" (მოსკოვიდან), 17.40 — მოსწავლეთათვის „პირველი გაკვეთილი", 18.10 — „მელოდია, რიტმი, ჰანწყობილება" (კონცერტი), 19.00 — „მშრომელთა აღზრდის კერა", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „ნეფთჩი" (ბაქო)-„დინამო" (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი ბაქოდან, 20.45 — მსუბუქი ინსტრუმენტული პიესები, 21.15 — „ახალგაზრდობა — „იმედი ხვალის" — მუსიკალური რადიოკომპოზიცია.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096 თბილისი-96 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03 99-03-09, პ/მდივნის —99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული —99-87-61 პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34 სოფლის მეურნეობის — 99-52-46. საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-54.
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უე 02182
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14